მაია კვენიაშვილი

სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების დადებითი და უარყოფითი მხარეები

(მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)

ნაშრომი წარმოდგენილია განათლების მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დოქ. ირმა ბარბაქაძე,

პროფესორი,

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

ივლისი, 2019

საავტორო უფლება © 2019 მაია კვენიაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მაია კვენიაშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების დადებითი და უარყოფითი მხარეები (მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომისიაში მის განხილვას განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი: _____

თანახელმძღვანელი: _____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2019 წელი

ავტორი: მაია კვენიაშვილი

დასახელება: სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების დადებითი და უარყოფითი მხარეები (მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)

ფაკულტეტი : ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

ხარისხი: განათლების მეცნიერებების მაგისტრი

თარიღი: ___/___/___

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების დადებითი და უარყოფითი მხარეების კვლევას (მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგალითზე).

თემის აქტუალობა განისაზღვრება იმით, რომ 2014 წლიდან ფართოდ გამოიყენება ტერმინი „სასკოლო მზაობა“. ამ მიმართულებით შემუშავდა არაერთი დებულება, კანონი თუ ტრენინგ-მოდული. პროგრამის განხორციელება დაიწყო 2016 წლიდან. პროგრამის 3 წლიანი მუშაობის მანძილზე მისი ძლიერი და სუსტი მხარეების, მოლოდინებისა და მიღწეული შედეგების შეფასების საჯარო კვლევა დღემდე არ ჩატარებულა.

კვლევის მიზანს და დანიშნულებას წარმოადგენს სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების დადებითი და უარყოფითი მხარეების კვლევა, სახელმწიფოს მოლოდინები და როლი ამ პროგრამის განხორციელებაში.

კვლევის ობიექტი - მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული არაქართულენოვანი საბავშვო ბაღები, სადაც ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამა და ის სკოლები, რომლებშიც სწავლობენ ამ პროგრამაგავლილი ბავშვები.

კვლევის მეთოდოლოგია - სასკოლო მზაობის პროგრამის განხორცილების დადებითი და უარყოფითი მხარეების კვლევა წარმოადგენს ქვემო ქართლის რეგიონში, კერძოდ კი მარნეულის მუნიციპალიტეტის 2 არაქართულენოვანი ბაღისა და 7 სკოლის აღმზრდელ- მასწავლებლის, სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგებისა და მშობლების შერეულ კვლევას. კვლევის მეთოდებად შერჩეულია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მეთოდი. კვლევის დიზაინია შერეული კვლევა.

სამიზნე ჯგუფები:

კლასტერული მეთოდით შეირჩა ქვემო ქართლის რეგიონში, კერძოდ, მარნეულში არაქართულენოვანი საბავშვო ბაღების აღმზრდელები (9 აღმზრდელი), საჯარო სკოლების I-II კლასის დამრიგებლები (20 მასწავლებელი) და მათი ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები (12 მასწავლებელი) და I-II კლასის მოსწავლეთა მშობლები (112 მშობელი).

მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტი:

სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების დადებითი და უარყოფითი მხარეების კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა **სამი სახის კითხვარის** შემუშავება. გამომდინარე იქიდან, რომ ქვემო ქართლში ენის ბარიერი კვლავ ერთ-ერთი გამოწვევად რჩება, კითხვარი შედგენილია ქართულ- აზერბაიჯანულ ენაზე.

- კითხვარი სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელებისთვის;
- კითხვარი მასწავლებლებისთვის, რომლებიც ასწავლიან პროგრამა გავლილ მოსწავლეებს;

- კითხვარი მშობლებისთვის.

ძირითადი საკვლევი საკითხებს წარმოადგენს:

- სახელმწიფოს ხელშეწყობა სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელებაში;
- სასკოლო მზაობის პროგრამის ეფექტურობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები;
- სასკოლო მზაობის პროგრამის სწავლებისას არსებული პრობლემები;
- სასკოლო მზაობის პროგრამის გავლის შემდგომი მოლოდინები.

კვლევისათვის შემუშავებული გეგმის მიხედვით, საკვლევი პოპულაციის წევრებს (აღმზრდელ-პედაგოგებს, მასწავლებლებსა და მშობლებს) დაურიგდათ წინასწარ მომზადებული კითხვარი.

I და II კლასის მოსწავლეთა მშობლები შეირჩნენ **სისტემური შერჩევის მეთოდით** (შემთხვევითი შერჩევის მოდიფიცირებული ფორმა). გამოიკითხა ყოველი მე-3 მშობელი.

მონაცემთა შეგროვების მიზნითა და შემდგომში ანალიზისთვის აღმზრდელ-პედაგოგებსა და მასწავლებლებს ასევე ჩაუტარდათ პირდაპირი ჩაღრმავებული ინტერვიუ. ინტერვიუს პროცესში, ასევე ხორციელდებოდა ჩანაწერები იმ გამოკვეთილი პრობლემებისა, რომლებიც არ იყო კითხვარში. ინფორმაციის სიზუსტისთვის გამოყენებული იყო ასევე სატელეფონო კვლევის სისტემაც.

კვლევის შედეგებით გამოკვეთილია ის ხარვეზები, რაც ხელს უშლის სასკოლო მზაობის პროგრამის სრულყოფილად და ზედმიწევნით განხორციელებას. რესპოდენტების მხრიდან ხარვეზების ძირითად გამომწვევ მიზეზებად დასახელებულია ის ფაქტები, რომ სახელმძღვანელოები არის მხოლოდ ქართულ ენაზე, მასწავლებლები (აღმზრდელ-პედაგოგები) არა არიან კვალიფიცირებულები, არ ხდება მათი სათანადოდ გადამზადება.

Resume

The master degree work is about advantages and disadvantages of the school readiness program implementation research. (Based on Marneuli municipality example)

The theme actuality is defined due to the term "school readiness" widely used from 2014. Several regulations, laws and training-modules were prepared in this direction. The program implementation started in 2016, but despite the 3 years period of this program, the research showing program's weak and strong points, expectations and results, has not been conducted.

The aim and purpose of the research represents the research advantages and disadvantages of school readiness program and the role of the government in implementation of this program.

The research object -Non-Georgian speaker nursery-schools in Marneuli Municipality, were the school readiness program is conducted and the schools were the children who were involved in this program study.

The Research Methodology - this research of "school readiness" advantages and disadvantages, is a mixed research of Marneuli region seven teachers' research in collaboration with parents and two non-Georgian speaker nursery school. The method of the research is quantitative method, as well as qualitative method. The design of the research is mixed method.

Target Groups:

According to clustered method in Marneuli Non-Georgian speaker teachers were chosen, (9 teachers) also public school 1-2 grade teachers, (20 teachers) Georgia language teachers as a second language teachers (12 teachers), and parents (112 parents) took place in the research.

Data collecting instrument

On the first stage of the research three types of questionnaire was prepared. Due to the fact that in QvemoQartli language barrier is still a problem, the questionnaire was prepared on two Georgian – Azeri languages.

- Questionnaire for "school readiness grogram" teachers
- Questionnaire for teachers who work with program finisher students
- Questionnaire for parents.

The main research subject is:

- Support the government in implementation of "school readiness program"

- Affectiveness of “school readiness program”, advantages and disadgvantages;
- Problems while teaching „school readiness program”;
- Expectations after graduationthe “school readiness program”

According to the research plan, nursery school teachers, school teachers and parents were given in advance prepared questionnaires.

I and II grade parents were chosen using **system selection method**(accidental chosing modified form). Every third parent was questioned

For Data collectiong and further analysis the teachers and parents were questioned using direct, improved interview. During the interview the teaching problems were written down and for more exact information telephone research system was also used.

According to the research results the problems during teaching process, preventing achieving the best result, were revealed. The main problem is that the books are provided only in Georgian Language and teachers are not qualified and appropriately retrained.

შინაარსი

შესავალი 2

1.ლიტერატურის მიმოხილვა 5

2. სასკოლო მზაობის პროგრამის ქართული მოდელის მოკლე მიმოხილვა 11

3.უცხოური გამოცდილება 23

3.1სასკოლო მზაობის პროგრამა გერმანიაში 23

3.2 სასკოლო მზაობის პროგრამა დიდ ბრიტანეთში 25

3.3 სასკოლო მზაობის პროგრამა საფრანგეთში 27

4.კვლევითი ნაწილი 31

5.საკვლევი საკითხების მოკლე მიმოხილვა 34

5.1 სახელმწიფოს ხელშეწყობა სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელებაში 34

5.2 სასკოლო მზაობის პროგრამის ეფექტურობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები 34

5.3 სასკოლო მზაობის პროგრამის გავლის შემდგომი მოლოდინები 35

5.4 სასკოლო მზაობის პროგრამის სწავლებისას არსებული პრობლემები 35

6. კვლევის ანალიზი 37

დასკვნა 43

რეკომენდაციები 47

გამოყენებული ლიტერატურა: 48

დანართი N 1 48

შესავალი

ყველა სამართლებრივი სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ადამიანის ფუნდამენტური უფლებები როგორიც არის სიცოცხლე, ღირსება, პირადი ხელშეუხებლობა. უზრუნველყოს გადაადგილების თავისუფლება, ხელი შეუწყოს განათლებას თავისუფალ და თანასწორ პირობებში.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად განათლება საყოველთაო და ხელმისაწვდომია ყველასთვის. საქართველოს მოქალაქეები თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი კუთვნილებისა. (საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ , 2017 , გვ.4-5)

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ყველას აქვს განათლების მიღების უფლება, დაწყებითი და საბაზისო განათლება კი სავალდებულოა. ზოგად განათლებას, კანონით დადგენილი წესით, სრულად აფინანსებს სახელმწიფო, გარდა ამისა მოქალაქეებს უფლება აქვთ, კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.

საქართველოში განათლება მოიცავს სამ საფეხურს: ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება და უმაღლესი განათლება. ზოგადი განათლების საწყისი ეტაპი არის ადრეული და სკოლამდელი განათლება.

სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვების მიყვანა არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობით არა არის სავალდებულო. პირველი საბავშვო ბაღები გაიხსნა გერმანიაში მე-18 საუკუნის დასასრულს. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად სკანდინავიის) არსებობს სკოლამდელი საჯარო დაწესებულებების განვითარებული ქსელი. ადრეული და სკოლამდელი განათლება საქართველოში მე-20 საუკუნიდან არსებობს და მას არეგულირებდა კანონი ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ.

საქართველოში სკოლამდელი დაწესებულებები ექვემდებარებოდნენ განათლების სამინისტროს. ვინაიდან, წამყვანი ფუნქცია განათლება იყო. (დოღონაძე ნ., „განათლების მეცნიერება“, თბილისი , 2017, გვ.127)

სკოლამდელი განათლება უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბავშვის განვითარებაში. შვეიცარიელი ფსიქოლოგის ჟან პიაჟეს აზრით, ბავშვის კოგნიტური (შემეცნებითი) განვითარება გადის ოთხ საფეხურს: სენსომოტორულს; პრეოპერაციულს; კონკრეტულ-ოპერაციულს; ფორმალურ-ოპერაციულს.

სენსომოტორულ სტადიაზე (დაბადებიდან ორ წლამდე) ბავშვი სამყაროს შესახებ ცოდნას აგროვებს მოძრაობებისა და შეგრძნებების გამოყენებით. ამ ეტაპზე დიდ როლს თამაშობენ რეფლექსები. ბავშვი მიდის იმ დასკვნამდე, რომ საგნები მუდმივია, ბავშვს თანდათან უვითარდება სიმბოლური აზროვნება-უნარი იფიქროს საგნებსა და მოვლენებზე წარმოსახვით, სიმბოლოებით.

პრეპერაციული სტადია (ორიდან შვიდ წლამდე) -ენობრივი უნარები საოცარი სისწრაფით ვითარდება, რაც ახალი სოციალური ურთიერთობების საშუალებას აძლევს ბავშვს. მათ შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია ენობრივი კომუნიკაციის საშუალებით, რაც მანამდე მათთვის ხელმისაწვდომი არ იყო. აზროვნება კვლავ პრიმიტიული რჩება.

სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ტაქტილური[1] კონტაქტი - ის ხელს უწყობს მათ ემოციურ და გონებრივ განვითარებას. ამ ასაკის ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია მშობლის როლი: ყურადღებით მოსმენა ბავშვებს უმაღლებს თვითშეფასების უნარს. ბავშვებისთვის აუცილებელია უფრო ხშირად სიყვარულის გამოხატვა(მათი ხშირი ჩახუტება, მოფერება), ვიდრე რაიმეს აკრძალვა. ხშირად მითითება „არა“, „არ ქნა“ ბავშვს უკარგავს მოტივაციას. პატარა ბავშვს სჭირდება აღმზრდელები, რომლებიც თბილად ხვდებიან ყველა ბავშვს მათი ინტელექტუალური და ფიზიკური განვითარების დონის, კულტურიისა და ეთნიკური წარმოშობისა. დროს უთმობენ მათ, მუშაობენ მათთან ინდივიდუალურად, წყვილებში, პატარა ჯგუფებში, მთელ ჯგუფთან, რათა დაეხმარონ მათ განავითარონ კოგნიტური და სოციალური უნარ-ჩვევები და ინტერესი სწავლისადმი.

ბავშვისთვის სწავლაში დასახმარებლად ზრდასრული ადამიანის როლი იმაში მდგომარეობს რომ მიაწოდოს ბავშვს ადეკვატური მასალა, რომლის გამოყენებითაც ბავშვი, უფროსთან თანამშრომლობის გზით მოახდენს ცოდნის კონსტრუირებას.

[1] ტაქტილური-შეხების გზით

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების უმრავლესობა მოუთმენლად ელის სკოლაში წასვლას, რადგან ეს მათი სტატუსის შეცვლას ნიშნავს, მათ უფრო დიდ ადამიანებად აღიარებენ, სკოლაში ყოფნა საწყის ეტაპზე ბავშვებისთვის დიდი კრიზისია, რადგან მოსწავლეები ბევრ სიახლეს ხვდებიან და უწევთ მათთან ადაპტირება. (დოღონაძე ნ., „განათლების მეცნიერება“, თბილისი , 2017, გვ.64)

თითოეული ბავშვი გამორჩეულია თავისი ინდივიდუალური თვისებითა და განვითარების განსხვავებული ტრაექტორიით, რომელიც, ერთი მხრივ, განპირობებულია გენეტიკური ფაქტორით, ხოლო მეორე მხრივ, გარემო ფაქტორების ზემოქმედებით. განვითარების სხვადასხვა სფეროს ნიშანსვეტებსა თუ უნარ-ჩვევებს ცალკეული ბავშვი სხვადასხვა ასაკში აღწევს. (ლაბარტყავა და სხვანი, 2011, გვ.6)

უკანასკნელ პერიოდში ფართოდ გამოიყენება ტერმინი „სასკოლო მზაობა“, რომელიც გულისხმობს ბავშვის მომზადებას იმ სპეციფიკური მოთხოვნებისადმი, რასაც მას დასჭირდება სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის. მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი და მუდმივად განვითარებადი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, წარმოადგენს ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს.

სკოლამდელი აღზრდა და განათლება, მათ შორის სასკოლო მზაობის პროგრამა არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის. მუნიციპალიტეტი ვალდებულია დანერგოს და უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის განათლება, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამის ბავშვებისთვის მიწოდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. (საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, 2016 , გვ.2)

1.ლიტერატურის მიმოხილვა

ბავშვთა უფლებების დეკლარაციის რატიფიცირების შემდეგ, 1994 წლიდან საქართველო აღიარებს ყოველი ბავშვის უფლებას, ჰქონდეს ცხოვრების ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს მის ფიზიკურ, გონებრივ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.

ბავშვთა უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 11 ნოემბრის N958 ბრძანებით დამტკიცდა სკოლამდელი განათლების ეროვნული მიზნები. ამ პრინციპებზე დაყრდნობით ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროს განვითარებისთვის შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, საჭირო პროგრამები და სახელმძღვანელოები :

- ✓ ორგანიზაციების **"კივიტას გეორგიკა"** და **"ედუკატორი"**, ხელშეწყობით 2014 წელს პოლონურ-ქართული პროექტის "სასკოლო მზაობის ცენტრები საქართველოში" ფარგლებში სპეციალურად სასკოლო მზაობის ჯგუფებისთვის შეიქმნა სასკოლო მზაობის პროგრამა **"ბასკო"** (**ბა**ღიდან **სკო**ლამდე);
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 31 აგვისტოს N110/ნ ბრძანებით დამტკიცდა **„სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი"** რომლის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით გაეროს ბავშვთა ფონდისა და ორგანიზაცია „ვორლდ-ვიჟენ-საქართველოს" ხელშეწყობით შეიქმნა სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელის გზამკვლევი, სასკოლო მზაობის პროგრამის ყოველკვირეული აქტივობების კრებული (I და II ნაწილი), ტრენინგ მოდული აღმზრდელ-პედაგოგებისთვის;
- ✓ 2016 წლის 8 ივნისს დამტკიცდა **„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ"** საქართველოს კანონი;
- ✓ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენ-საქართველოს" მხარდაჭერით შემუშავდა **„ადრეული და სკოლამდელი**

განათლების სახელმწიფო სტანდარტი“ და **„აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი“**;

- ✓ 2017 წლის 30 ოქტომბერს დამტკიცდა დოკუმენტი **„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“**(საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებ გვერდი).

რაც შეეხება სასკოლო მზაობის პროგრამის მიმართულებით ჩატარებულ კვლევებს აღსანიშნავია, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა არც საჯარო კვლევა და არც ანგარიში. მანამდე კი, 2011 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა ანგარიში **სასკოლო მზაობის შეფასების** შესახებ.

აღნიშნული ანგარიშის მიზანი იყო ქვეყნის მასშტაბით პირველი კლასის მოსწავლეთა სასკოლო მზაობის შეფასება განვითარების ხუთი ძირითადი სფეროს მიხედვით. ესენია :

- ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება;
- სოციალურ-ემოციური განვითარება;
- სწავლისადმი მიდგომა;
- მეტყველებისა და საკომუნიკაციო უნარების განვითარება;
- შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა.

კვლევის მეთოდოლოგია

მკვლევარებმა კვლევის დიზაინად შეარჩიეს **კლასტერული შერჩევა**, რომლის პრინციპითაც შეარჩიეს 1500 პირველკლასელი და მათი მშობლები.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოში არსებული ყველა ქართულენოვანი საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები.

მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტად პირველ ეტაპზე გამოყენებული იქნა ბავშვზე დაკვირვება და მშობლის კითხვარის შემუშავება, რომელიც მოიცავდა შემდეგ სფეროებს: შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა, სწავლისადმი მიდგომა,

სოციალურ-ემოციური განვითარება, მეტყველება, ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება.

სასკოლო მზაობის ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო:

- ✓ სასკოლო მზაობის სხვადასხვა კითხვარი;
- ✓ ბავშვის განვითარების შესაფასებელი ტესტები (DENVER, PEDS:DM და სხვა), რომლებიც ხასიათდება მაღალი სენსიტიურობითა და სპეციფიკით;
- ✓ საქართველოსა და სხვა ქვეყნების მიერ შემუშავებული ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების სტანდარტი, რომელიც ასახავს ბავშვის განვითარების ნიშანსვეტებს;

ბავშვზე უშუალო დაკვირვება და მშობელთა გამოკითხა აწარმოეს მკვლევარებმა, რომელთაც ჩაუტარდათ სპეციალური ტრენინგი მშობლის კითხვარისა და ბავშვზე დაკვირვების ფორმის გამოყენებასთან დაკავშირებით .

რაც შეეხება **შერჩევას,** შეირჩა საქართველოში არსებული ყველა ქართულენოვანი საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეები. ინტერვიუს რაოდენობა იყო 1500, რომელიც მოიცადა საქართველოს ყველა რეგიონს. პირველი კლასის მოსწავლეთა ერთობლიობა დაყოფილი იყო სტარტებად (სეგმენტებად). სტარტები დაყოფილი იყო შემდეგი პარამეტრებით:

- ➢ რეგიონის მიხედვით;
- ➢ რეგიონებში დასახლების ტიპის მიხედვით;
- ➢ რეგიონებსა და დასახლების ტიპში სკოლის ზომის მიხედვით. არსებული სკოლები დაიყო ორ ჯგუფად:

1. სკოლები, სადაც პირველი კლასის მოსწავლეთა რაოდენობა 25 ბავშვზე ნაკლებია (პატარა სკოლები) ;
2. სკოლები, სადაც პირველ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 24 ბავშვზე მეტია (დიდი სკოლები).

დემოგრაფიულ მონაცემები

კვლევა ჩატარდა 1499 ბავშვზე, მათგან 479 იყო 5 წლის, ხოლო 1019 6 წლის. ქალაქში მცხოვრები 805 ბავშვი, სოფელში-524, მთაში მცხოვრები კი 170. გენდერის მიხედვით კი 758 იყო გოგო, ხოლო ბიჭი-741. ბაღში დადიოდა-1073 ბავშვი, არ დადიოდა 426.

კვლევის საფუძველზე, ბავშვის განვითარების ხუთივე სფეროში (ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება; სოციალურ-ემოციური განვითარება; სწავლისადმი მიდგომა; მეტყველებისა და საკომუნიკაციო უნარების განვითარება; შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა) დაიდო შემდეგი სახის დასკვნები:

5 წლის ბავშვები უფრო ნაკლებად იყვნენ მომზადებული სკოლისათვის ვიდრე 6 წლის. ამასთან, ის ბავშვები რომლებიც სწავლობდნენ ორგანიზებულ გარემოში და ის ბავშვები, რომლებიც არ სწავლობდნენ საბავშვო ბაღებში საგრძნობლად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან სკოლისათვის მომზადების დონით. რაც შეეხება შედარებას დასახლების ტიპის მიხედით, გამოიკვეთა რომ, ყველაზე ცუდი მდგომარეობა იყო მთაში მცხოვრებ ბავშვების განვითარებაში. რაც შეეხება ქალაქსა და სოფლებში მცხოვრებ 5-6 წლის ბავშვებს, დიდი სხვაობა არ იყო მათ შორის, თუმცა სასკოლო მზაობის მაღალი დონე დაფიქსირდა ქალაქში მცხოვრებ ბავშვებში.

აღსანიშნავია, რომ კვლევების შედეგად გამოიკვეთა ბავშვის განვითარების და შესაბამისად მისი სკოლისათვის მზაობის ხელისშემშლელი ფაქტორები, როგორიცაა: დღენაკლულობა, ქრონიკული დაავადებები, მშობლების არასწორი დამოკიდებულება სკოლამდელი განათლების მიმართ.

სასკოლო მზაობის პროგრამის მიმართულებით ასევე 2012 წლის დეკემბერში სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაკვეთით, „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი“-ს მიერ განახორციელდა **ხუთი წლის ასაკის მოსწავლეების სწავლების პრობლემების კვლევა.**

კვლევის მიზანს წარმოადგენდა 5 წლის ასაკიდან სკოლაში მიღებისას წამოჭრილი სირთულეების გამოკვლევა და მათი დასაძლევი რეკომენდაციების შემუშავება.

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა 1-ლი და მე-2 კლასის პედაგოგები, რომლებსაც ჰქონდათ 5 წლის მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება; დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მშობლები, რომლებმაც 5 წლის ასაკში შეიყვანეს სკოლაში შვილები; ფსიქოლოგები, პედიატრები, განათლების ექსპერტები.

მკვლევარებმა **კვლევის მეთოდად** გამოიყენეს ფოკუს-ჯგუფი (ჯგუფური დისკუსია) **ინსტრუმენტად** კი ფოკუს ჯგუფის გზამკვლევი (გაიდლაინი) .

რაც შეეხება შერჩევას, კვლევა ჩატარდა საქართველოს სამ ქალაქში თბილისი, გორი, ბათუმი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად კვლევის პირველ ეტაპზე შემუშავდა ფოკუს ჯგუფების გზამკვლევები (სულ სამი გზამკვლევი). მშობლებისათვის, მასწავლებლებისათვის და ექსპერტებისათვის. შემდგომ ეტაპზე განისაზღვრა მშობლებისა და მასწავლებლების რეკრუტირების კრიტერიუმები. წინასწარ მომზადებულმა სუპერვაიზერებმა უზრუნველყვეს ფოკუს ჯგუფების დაგეგმვა. ფოკუს ჯგუფებს უძღვებოდა მოდერატორი. ფოკუს ჯგუფების ფიქსაცია მოხდა აუდიო და ვიდეო საშუალებების გამოყენებით. კვლევის ანალიტიკურ ეტაპზე განხორციელდა ფოკუს ჯგუფების შინაარსობრივი და სტრუქტურული დამუშავება.

5 წლის ბავშვის განვითარების თავისებურებები და პრობლემები

- ბავშვის ფიზიკური აგებულება;
- 5 წლის ბავშვის კონცენტრაცია არ აღემატება 15 წუთს;
- ნებელობის განვითარების დაბალი დონე;
- ფიზიკური მოთხოვნილებები;
- 5 წლის ბავშვისთვის რთულია სემანტიკური ველიდან ფონემურ ველში გადასვლა და კითხვის დაწყება;
- მოტორიკა ნაკლებად აქვს განვითარებული:

კვლევაში ასევე გამოკვეთილი იყო ისეთი თავისებურებები, რომელიც ქართული კულტურითაა განპირობებული:

- საკუთარ თავზე ზრუნვის შესაძლებლობა;
- ბავშვების ინტელექტუალური და მეტორული განვითარების დაბალი დონე, რომელიც ასევე აღზრდის სისტემის ბრალია:
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მიმართ არასერიოზული დამოკიდებულება.

კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ფსიქო–ფიზიოლოგიური განვითარების თვალსაზრისით და კულტურული სისტემის გავლენით 5 წლის მოსწავლეებს აქვთ ბევრი თავისებურება, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეს მასწავლებლებმა, მშობლებმა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით უნდა მოხდეს ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვა. თუმცა, იმ მოცემულ მომენტში, როდესაც კვლევა ჩატარდა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წინსვლა არ არსებობდა და სასწავლო პროცესი 5 წლის ბავშვებისათვის შეუფერებელ გარემოში მიმდინარეობდა.

ზემოთ მოცემული კვლევების (სასკოლო მზაობის შეფასების ანგარიში; ხუთი წლის ასაკის მოსწავლეების სწავლების პრობლემების კვლევა) შედეგები, დასკვნები და გაცემული რეკომენდაციები გახდა საფუძველი იმისა, რომ მომხდარიყო 5 და 6 წლიანი ბავშვების დაყოფა. 2015-2016 სასწავლო წლიდან სასკოლო ასაკი განისაზღვრა 6 წლით და აიკრძალა 5 წლიანი მოსწავლეების პირველ კლასში რეგისტრაცია.

რეკომენდაცია გაიცა, რომ მომხდარიყო 5 წლის და 6 წლის ბავშვების გამიჯვნა. 5 დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის შექმნილიყო სპეციალური გარემო, რომელიც ხელს შეუწყობდა მათი სკოლისათვის მომზადებას არასაგაკვეთილო სივრცეში.

კვლევებით დასტურდება, რომ ბავშვებს, რომლებიც სკოლაში შესვლის დროს არ იყვნენ მზად სწავლისათვის, აქვთ ნაკლები აკადემიური მოსწრება, სოციალური და ემოციური პრობლემების განვითარების შედარებით მაღალი რისკი. (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საჯარო ინფორმაცია, MES 91900563619, თბილისი,2019)

2. სასკოლო მზაობის პროგრამის ქართული მოდელის მოკლე მიმოხილვა

ბავშვთა უფლებების დეკლარაციის პრინციპების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 11 ნოემბრის N958 ბრძანებით დამტკიცდა სკოლამდელი განათლების ეროვნული მიზნები რომელიც მოიცავს შემდეგ სფეროებს:

1. **ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება**
   - **მოტორული** (მსხვილი მოტორიკა; ნატიფი მოტორიკა და სენსორულ-მოტორული განვითარება);
   - **ფიზიკური განვითარება** (ფიზიკური აქტივობა);
   - **ჯანმრთელობა და უსაფრთხოება** (პირადი ჰიგიენა და თავის მოვლის უნარ-ჩვეები, უსაფრთხოება).
2. **შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა**
   - **ესთეტიკა და კულტურა** (შემოქმედებითობის აღქმა და გაგება; შემოქმედებითი თვითგამოხატვა; ოჯახი, საზოგადოება და კულტურა);
   - **ბუნება და ტექნოლოგიები** (ბუნება; ტექნოლოგია);
   - **რაოდენობრივი წარმოდგენის განვითარება** (რიცხვები და ანგარიში; გაზომვა; კანონზომიერების დადგენა) ;
   - **მოვლენებს შორის მიმართების წვდომა** (დრო; სივრცე; მიზეზ-შედეგობრიობა);
3. **სწავლისადმი მიდგომა**
   - **მოტივაცია** (ცნობისმოყვარეობა და ინტერესი, ინიციატივა და დამოუკიდებლობა);
   - **სასწავლო უნარები** (პრობლემების გადაჭრა; ყურადღების კონცენტრაცია; შემოქმედებითობა და გამომგონებლობა; აზრის გამოხატვა და რეალობასთან კავშირი; გააზრება და ინტერპრეტაცია; კრიტიკული აზროვნება და კვლევა).

4. **მეტყველების განვითარება**

- **მეტყველება** (მოსმენა და ზეპირი მეტყველება);
- **წიგნიერება** (კითხვა; წერა).

5. **სოციალურ-ემოციური განვითარება**

- **ემოციური განვითარება** (თვითიდენტობა; მე-კონცეფცია და თვითშეფასება; თვითმართვა და თვითგამოხატვა;
- **სოციალური განვითარება** (ურთიერთობა უფროსებთან; ურთიერთობა თანატოლებთან; ადაპტაციური სოციალური ქცევა).

სკოლამდელი განათლების ეროვნული მიზნების გათვალისწინებით გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2010 წელს შემუშავდა ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები. მის შექმნაში მონაწილეობდნენ ექიმი-პედიატრები, ფსიქოლოგები და პრაქტიკოსი პედაგოგები. სტანდარტების შექმნა მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს იმ საქმეში, რომლის განხორციელებასაც მიზნად ისახავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლამდელი განათლების მომსახურების გასაუმჯობესებლად. დონორ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად. დოკუმენტში გაერთიანებულია ინფორმაცია იმის შესახებ, განვითარების რა დონეს უნდა აღწევდეს ბავშვი დაბადებიდან სკოლაში წასვლამდე, რა უნარ-ჩვევებსა და ცოდნას უნდა ფლობდეს იგი. ჩამოყალიბებულია ბავშვის განვითარების მაჩვენებლები კონკრეტულ ასაკთან მიმართებაში და წარმოადგენს სასურველ მოლოდინსა და შედეგებს, რომელთა მიღწევა შესაძლებელია ბავშვის მშობლების, მეურვეებისა და მასწავლებლების ერთიანი ძალისხმევით.

ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების სტანდარტების მთავარი დანიშნულებაა საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიურ განვითარებას; ხელი შეუწყოს მოზარდის ჯანმრთელობის განმტკიცებას და მის სასკოლო მზაობას. აღნიშნული დოკუმენტი ორიენტირებულია განსაზღვროს შედეგი და ამ შედეგამდე მისაღწევი გზა. „შედეგი“ არის ბავშვის განვითარებაში დასახული კონკრეტული მიზანი. სტანდარტის სპეციფიკა ბავშვთან

ინდივიდუალური მიდგომის გზით საჭიროებების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საშუალებას იძლევა. აღმზრდელს შეუძლია დააკვირდეს ბავშვს, შეაფასოს და გამოიყენოს მასთან მიმართებაში ის აქტიობები, რომლის საშუალებითაც მიაღწევს სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. აღმზრდელებს აქვთ შესაძლებლობა დაგეგმონ და განახორციელონ საქმიანობები, რომლებიც ბავშვის პიროვნულ ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს, დაეხმარება მას მომავალი ცხოვრებისა და სკოლისათვის მზაობაში.

საქართველოში თითქმის არავინ აყენებს ეჭვქვეშ სკოლამდელი განათლების მნიშვნელობას ბავშვის განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა ბევრ სოფელში საბავშვო ბაღები არ არსებობს, ან იმდენად გადატვირთულია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციას ვეღარ ასრულებს. დღემდე მწვავედ დგას სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის საკითხი. ადგილობრივ თვითმმართველობას ზოგიერთ მუნიციპალიტეტში არ ყოფნის სახსრები ახალი ბაღების ასაშენებლად, ზოგან კი ასეთი ბაღის აშენება არც არის რაციონალური სკოლამდელი ასაკის ბავშვების სიმცირის გამო. გამომდინარე აქედან, საჭირო ხდება სკოლამდელი განათლების სხვა, ალტერნატიული ფორმების გამოყენება.

საქართველოში სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მისი ხარისხის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო ასოციაცია **"კივიტას გეორგიკა"** პოლონეთის არასამთავრობო ორგანიზაცია **"ედუკატორ"**-თან თანამშრომლობით და პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით, დაინერგა პროექტი "სასკოლო მზაობის ცენტრები საქართველოში". როგორც სკოლამდელი განათლების კიდევ ერთი ალტერნატიული მოდელი. ეს მოდელი უზრუნველყოფს 5 წლის ბავშვებისთვის სკოლამდელი განათლების მიწოდებას და სკოლისთვის მათ მომზადებას იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც მიუწვდომელია სკოლამდელი განათლების სხვა ფორმები. ის ასრულებს იგივე ფუნქციას, რასაც სტანდარტული საბავშვო ბაღის დამამთავრებელი ჯგუფი და ორიენტირებულია ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე. სასკოლო მზაობა ასეთი განვითარების ერთ-ერთი კონკრეტული შედეგია. ასევე აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2008 წლიდან საქართველოს რეგიონებში მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით და სხვადასხვა დონორების

დაფინანსებით შეიქმნა 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის 100-ზე მეტი ნახევარდღიანი "სკოლამდელი განათლების ცენტრები".

ორგანიზაციების "კივიტას გეორგიკა" და "ედუკატორი", ხელშეწყობით 2014 წელს პოლონურ-ქართული პროექტის "სასკოლო მზაობის ცენტრები საქართველოში" ფარგლებში სპეციალურად სასკოლო მზაობის ჯგუფებისთვის შეიქმნა სასკოლო მზაობის პროგრამა **"ბასკო"** (**ბა**ღიდან **სკო**ლამდე). რომელიც ეყრდნობა გაეროს ბავშვთა ფონდის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების სტანდარტებს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სკოლამდელი განათლების მიზნებს. როგორც სხვა მეთოდური მასალები, პროგრამა ეხმარება მასწავლებლებს მკაფიოდ დაინახონ მისაღწევი შედეგები, სწორად დაგეგმონ საკუთარი საქმიანობა და შეაფასონ, თუ რამდენად მიაღწიეს დასახულ მიზანს.

სასკოლო მზაობის პროგრამის **"ბასკო"** ჯგუფები ფუნქციონირებს როგორც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ასევე სკოლის შენობაში, სადაც იკავებს ერთ ან ორ საკლასო ოთახს. ეს ოთახები არ არის მოწყობილი, როგორც სტანდარტული კლასები და მეცადინეობა არ მიმდინარეობს მერხებთან ჯდომისა და მოსმენის ფორმით, არამედ ის წააგავს საბავშვო ბაღის ჯგუფის ოთახს ხალიჩა, 4-6 ბავშვზე გათვლილი დაბალი მაგიდები, ბევრი სხვადასხვა სათამაშო და თემატური კუთხეები.

ჯგუფში გაერთიანებულია 16-20 ბავშვი, რომელთა რაოდენობა შესაბამისია საქართველოს სინამდვილის. ასევე ოპტიმალურია საერთაშორისო გამოცდილებით. სწავლების მთავარ მეთოდიკად სასკოლო მზაობის ცენტრებში მიღებულია თამაშის პედაგოგიკა. ბავშვების ასეთი რაოდენობა შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს ინდივიდუალურად მიუდგეს თითოეულ ბავშვს, გაითვალისწინოს მისი ინტერესები და შესაძლებლობები. შესაბამისად, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მათი პოტენციალის განვითარებას. ცენტრის მუშაობის მთავარი პრინციპია - ყოველი ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომა .

სასკოლო მზაობის ასეთი მოდელი იძლევა საშუალებას მინიმალური დანახარჯებით მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევისა სასკოლო მზაობის ამაღლების

საქმეში. რადგანაც ჯგუფი მუშაობს კვირაში 5 დღე, ბავშვები ატარებენ მხოლოდ 4 საათს დღეში, ამიტომ კვება არ არის გათვალისწინებული. რაც სტანდარტული ბაღებისგან განსხვავებით მოითხოვს ნაკლებ ხარჯებს, არ საჭიროებს რთულ ინფრასტრუქტურას და დამატებითი შტატებს, ტენდერების და შესყიდვების განხორციელებას. საკმარისია ერთი საკლასო ოთახი და ერთი მასწავლებელი. საჭიროა მხოლოდ ერთი მასწავლებლის ხელფასის და სახარჯი მასალების (სათამაშოები, ფანქრები, პლასტელინი, ფურცლები, წიგნები და ა.შ.) შეძენისთვის საჭირო თანხის გამოყოფა. იმ მუნიციპალიტატში სადაც არის სკოლა, მაგრამ არ არსებობს საბავშვო ბაღი შესაძლებელია ასეთი ჯგუფი შეიქმნას სკოლის შენობაშიც. ვინაიდან სწორედ სკოლაა ყველაზე უფრო დაინტერესებული მიიღოს პირველ კლასში მომზადებული ბავშვები, რომლებსაც არ აქვთ პრობლემები სასკოლო მზაობის თვალსაზრისით.

საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს დრო, კვირაში 5 დღე და დღეში 4 საათი (ჯამში კვირაში 20 საათი) საკმარისია ბავშვებისთვის ხარისხიანი, სკოლამდელი განათლების მიწოდებისთვის, როდესაც სპეციალურად შემუშავებული პროგრამის მიხედვით ბავშვებთან მუშაობს შესაბამისად გადამზადებული მასწავლებელი. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მასწავლებლის კვალიფიკაციას. პროგრამის მიხედვით ბავშვებთან მუშაობს ორი ადამიანი - მასწავლებელი და მასწავლებლის თანაშემწე (მშობელი). თანაშემწე შეიძლება იყოს მორიგეობით ყველა მშობელი. სკოლამდელ დაწესებულებებში მომუშავე მასწავლებლების კვალიფიკაციის საკითხი საქართველოში ჯერ-ჯერობით მოგვარებული არ არის. რა თქმა უნდა, სასურველია მას ჰქონდეს პედაგოგიური განათლება, თუმცა პატარა სოფლებში ხშირად არ მოიძებნება დიპლომირებული მასწავლებელი. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობები შეიძლება იყოს გადამზადების სპეციალური პროგრამები, ტრენინგები, კონსულტაციები.

სასკოლო მზაობის პროგრამის მიმდინარეობისას მასწავლებელთან ერთად, მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია მის თანაშემწესაც. თანაშემწის როლს, ამ მოდელში, მორიგეობით ასრულებენ მშობლები. ჩვეულებრივად, მშობლების უმრავლესობას არ

აქვს საჭირო ცოდნა, ან უბრალოდ ვერ ან არ იცლიან ბავშვისთვის და შესაბამისად ვერ უთმობენ საკმარის დროს ბავშვის განვითარებას. რაც ხშირად გამოწვეულია მათი დაბალი ინტერესითა და ინფორმირებულობით სკოლამდელი განათლების მნიშვნელობის შესახებ.

მშობლების მხრიდან მასწავლებლის თანაშემწის როლის შესრულება უზრუნველყოფს მათ ჩართულობას სკოლამდელი ჯგუფის საქმიანობაში და ბავშვების განვითარებაში. მშობლისა და მასწავლებელის მჭიდრო თანამშრომლობა საშუალებას იძლევა მასწავლებელმა უკეთესად დაინახოს ოჯახების ინტერესები, საჭიროებები და თავისებურებები, რაც, საბოლოო ჯამში განაპირობებს პედაგოგიური პროცესის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობას.

პროექტის ფარგლებში შემუშავებულია ტრენინგის მოდული, რომლის მიხედვითაც სასკოლო მზაობის ცენტრების მასწავლებლები აუცილებლად უნდა გადიოდნენ 64-საათიან ტრენინგს, სადაც განიხილება 5 წლის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები, ჯგუფში მუშაობის მეთოდიკა, მისაღწევი შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები. ტრენინგი ტარდება ორ ნაწილად - ცენტრის მუშაობის დაწყებამდე და დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით შემუშავებული სასკოლო მზაობის პროგრამა გულისხმობს 5-6 წლის ბავშვების 7 თვის განმავლობაში მრავალმხრივ განვითარებასა და მომზადებას სკოლისათვის.

სასკოლო მზაობის პროგრამის განსახორციელებლად 2015 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური მხარდაჭერით განისაზღვრა სამი ძირითადი დოკუმენტი:

- აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი;
- აღმზრდელის სახელმძღვანელო, პროგრამა-**თამაში;**
- აქტივობების კრებული (I და II ნაწილი).

სკოლამდელი განათლების ეროვნულ მიზნებზე დაყრდნობით, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროცესისათვის აუცილებელი გარემოს ორგანიზებისა და მოწყობისათვის შექმნილია აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, რომელიც პასუხობს ბავშვის მრავალმხრივი განვითარების მოთხოვნებს.

დოკუმენტში ბავშვის განვითარება პირობითად ხუთ სფეროდ არის დაყოფილი: **ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება, შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა სწავლისადმი მიდგომა, მეტყველების განვითარება** და **სოციალურ-ემოციური განვითარება.** ყოველი სფერო `ქვესფეროებს მოიცავს, რომლებიც მკაფიოდაა ჩამოყალიბებული. მისაღწევი შედეგები და ამ შედეგების მიღწევის ინდიკატორები, რომლებიც ნათლად აღწერს ბავშვის ქცევას, რომელიც აღმზრდელმა ან მშობელმა ადვილად უნდა შეიცნოს და შემდგომში მასზე შესძლოს დაკვირვება.

აღმზრდელის სახელმძღვანელო, პროგრამა-**თამაში** შედგება ხუთი ნაწილისგან. სიტყვა თამაში ასე განიმარტება: **თ**ანამშრომლობა, **ა**ღმოჩენა, **მ**ოტივაცია, **ა**რჩევანი, **შ**ემოქმედებითობა, **ი**ნდივიდუალობა.

I ნაწილში განხილულია სასკოლო მზაობის პროგრამის ოთხი ძირითადი საფუძველი, რომლებსაც ეყრდნობა პროგრამის კონცეფცია და შინაარსი. ესენია:

- **თამაში** - სკოლამდელი ასაკის ბავშვების წამყვანი ქცევა, მისი სახეები და აღმზრდელის როლი;
- **ჯგუფის ერთობა** - სტრატეგიები სასკოლო მზაობის ჯგუფში თანასწორობაზე დაფუძნებული უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად;
- **აზროვნება** - აზროვნების ტიპებისა და ოპერაციების აღწერა, მათი განვითარების ხელშემწყობი კონკრეტული სტრატეგიები;
- **შესაბამისობა** - ინდივიდუალიზებული, ბავშვზე მორგებული სასწავლო სააღმზრდელო პროცესის მნიშვნელობა, უნივერსალური დიზაინის პრინციპები.

II ნაწილი ეთმობა სასკოლო მზაობის ჯგუფის ფიზიკური გარემოს მოწყობის პრინციპებს და იმ რესურსებს, რომელთა გამოყენებაც რეკომენდებულია სასკოლო მზაობის ჯგუფში ბავშვის მრავალმხრივი და სრულფასოვანი განვითარებისათვის.

III ნაწილი წარმოადგენს სასკოლო მზაობის ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობებისა და პროცესების მოკლე მიმოხილვას. მასში თავმოყრილია შემდეგი მასალა: დღის განრიგის ნიმუშები, ძირითადი საქმიანობების აღწერა, დღის განრიგის შედგენის ძირითადი პრინციპები, დღის განრიგის შემადგენელი კომპონენტების დახასიათება (პირველი და შემაჯამებელი შეხვედრა წრეში, კვლევა და აღმოჩენა, მოძრავი თამაშები, საქმიანობები მცირე ჯგუფებში), ბავშვის კვებასთან და გარდამავალ პერიოდებთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

IV ნაწილში აღწერილია სასკოლო მზაობის პროგრამის შინაარსის ორგანიზების ფორმა. მასში წარმოდგენილია შვიდი თემატური მიმართულება, რომელთა საშუალებით იგება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი სასკოლო მზაობის ჯგუფში. თითოეულ თემატურ მიმართულებას თან ახლავს საქმიანობათა ნიმუშები და რეკომენდაციები თემების დაგეგმვისათვის. თემატური მიმართულებებია:

- ბუნება და ფიზიკური სამყარო;
- სოციალური და კულტურული სამყარო;
- რაოდენობრივი წარმოდგენები;
- წიგნიერება, მეტყველება და კომუნიკაცია;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
- საშემსრულებლო ხელოვნება;
- ჯანმრთელობა და ჰიგიენა.

V ნაწილი წარმოგვიდგენს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და შეფასების პრინციპებსა და სტრატეგიებს, კვირისა და თვის გეგმის ნიმუშებს, ბავშვზე დაკვირვებისა და ჩანაწერების წარმოების ძირითად პრინციპებს, ბავშვების საქმიანობისა და განვითარების დოკუმენტირების გზებს. (საიფერი და სხვანი, 2015, გვ.6)

სასკოლო მზაობის პროგრამის სწავლებისთვის გამოიყენება „აქტივობათა კრებული“, რომელიც მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით (2015 წელს). აქტივობათა კრებული ეყრდნობა სასკოლო

მზაობის პროგრამის საგანმანათლებლო სტანდარტსა და აღმზრდელის სახელმძღვანელოს. აქტივობათა კრებული ორი ნაწილისაგან შედგება .

პირველი ნაწილი მოიცავს შემდეგ თემებს:

- ყველაფერი ჩემს შესახებ;
- მცენარეები;
- ბაზარი / მაღაზია ;
- ჩემი უბანი;
- როგორ ქმნიან ნივთებს.

კრებულის მეორე ნაწილი მოიცავს შემდეგ თემებს:

- ახალი წელი;
- წყლის წვეთის მოგზაურობა;
- ვინ წერს წიგნებს;
- როგორ გავაცოცხლოთ მბები;
- ემოციები-ჩემი საყვარელი გმირი;
- ცხოველები ჩვენ გარშემო;
- ტანსაცმელი;
- როგო დავამზადოთ თვითმფრინაი, გემი, მატრებელი;
- ახალი ამბები;
- რას მიირთმევენ სხვადასხვა ქვეყანაში;
- მე სკოლაში მივდივარ.

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს 30 კვირის განმავლობაში დღეში სამ საათიან დატვირთვას და ხორციელდება საბავშვო ბაღების უფროსი ასაკის ჯგუფებში (5-6 წლის ასაკი).

აქტივობათა კრებულის მიზანია დაეხმაროს პროგრამაში ჩართულ აღმზრდელებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვაში, რათა მათ შეძლონ ბავშვების სრულფასოვანი და მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა. კრებულში

წარმოდგენილია 16 თემა. თითოეული თემა კვირის/კვირების განმავლობაში გრძელდება. კვირის ყოველი დღე მოიცავს შემდეგ ღონისძიებებსა და საქმიანობებს:

- ბავშვების მიღება, პირველი შეხვედრა წრეში;
- კვლევისა და აღმოჩენის დრო (თემატური აქტივობები);
- წიგნის დრო;
- მოძრავი თამაშები;
- საქმიანობები მცირე ჯგუფებში;
- მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება;
- მეორე შეხვედრა წრეში, მომზადება სახლში წასასვლელად.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობასა და ღონისძიებას აქვს თავისი კონკრეტული მიზანი და ორგანიზების ფორმა, კერძოდ:

დილის შეხვედრა წრეში მთელ ჯგუფთან ერთად ტარდება. შეხვედრის მიზანია ბავშვების მოტივაციის გაძლიერება, მათ შორის ფუნქციების განაწილება.

კვლევისა და აღმოჩენის დრო - ამ მონაკვეთში დაგეგმილი აქტივობები/საქმიანობები მცირე ჯგუფებში ან მთელ ჯგუფთან ერთად ტარდება. კვლევისა და აღმოჩენები დროს ბავშვები ეცნობიან ახალ თემას და მონაწილეობენ თემატურ საქმიანობებში, რომელთა მეშვეობითაც შეისწავლიან სხვადასხვა საკითხს. ძირითადი საქმიანობები ოთხი სახისაა. ესენია: აქტივობა, თამაშები (როლური და წესებიანი) და პროექტი. საქმიანობათა დაწვრილებით აღწერას იხილავთ აღმზრდელის სახელმძღვანელოში. აღსანიშნავია, რომ კვლევისა და აღმოჩენების დროს ბავშვები თავად ირჩევენ, აღმზრდელის მიერ შემოთავაზებულ საქმიანობაში ჩაერთონ თუ დამოუკიდებლად შეარჩიონ საქმიანობა აქტივობათა სხვა ცენტრებში.

წიგნის დრო - ამ მონაკვეთში დაგეგმილი საქმიანობები/აქტივობები მთელ ჯგუფთან ერთად ტარდება. მათი მიზანია სკოლამდელთა წიგნიერების კომპეტენციებისა და კითხვისთვის საჭირო წინარე უნარების განვითარება.

მოძრავი თამაშები - ტრადიციულად, ტარდება მთელ ჯგუფთან ერთად ეზოში. განსაკუთრებული უამინდობის შემთხვევაში მათი ორგანიზება შესაძლებელია სპორტულ/მუსიკალურ დარბაზშიც. მოძრავი თამაშების მიზანია ბავშვების განტვირთვა და მათი მოტორული უნარების განვითარების ხელშეწყობა.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში - ამ დროს ბავშვები პატარა ჯგუფებში ასრულებენ სხვადასხვა აქტივობას. მცირე ჯგუფებში მუშაობა აღმზრდელებს აძლევს საუკეთესო საშუალებას, რომ დააკვირდნენ ბავშვებს, ჩაერთონ მათთან ინტერაქციაში, დაამყარონ ინდივიდუალური კომუნიკაცია, განსაზღვრონ სკოლამდელთა ინტერესები, ძლიერი მხარეები და საჭიროებები. მცირე ჯგუფებში მუშაობისას აღმზრდელები აქტიურად ეხმარებიან ბავშვებს სწავლასა და სხვადასხვა უნარის განვითარებაში.

მუსიკა/ცეკვა/რიტმიკა - ამ დროს ბავშვები ეცნობიან საშემსრულებლო ხელოვნების ელემენტებს.

წრეში შემაჯამებელი შეხვედრა -ამ დროს ბავშვები შეაჯამებენ სასწავლო სააღმზრდელო დღეს და საქმიანობებს. აქტივობათა კრებულში თითოეული კვირისთვის წარმოდგენილია ცხრილები. მათში დღეების მიხედვითაა გაწერილი ის აქტივობები/საქმიანობები, რომელთა განხორციელება რეკომენდებულია თემის ფარგლებში. თითოეულ ცხრილს თან ერთვის საქმიანობათა აღწერები, საჭიროების შემთხვევაში კი მოყვანილია თვალსაჩინოებები და იმ სარეკომენდაციო ლექსებისა და მოთხრობების ტექსტები, რომელთა მოძიებაც აღმზრდელს შეიძლება გაუჭირდეს თანამედროვე გამოცემებში. ზოგიერთი საქმიანობისთვის დამატებით მითითებულია ასევე ელექტრონული ბმულები ვიდეოფილმებსა თუ მუსიკალურ ჩანაწერებზე, რომელთა გამოყენება სასურველია ბავშვებთან მუშაობის დროს (თუკი ჯგუფში არსებობს შესაბამისი ტექნიკა). წარმოდგენილი აქტივობები მიზნად ისახავს საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული სწავლისა და განვითარების სფეროებსა და ქვესფეროებში მისაღწევი შედეგების გაუმჯობესებას. მითითებული რესურსები და აქტივობები სარეკომენდაციო ხასიათისაა - აღმზრდელს ნებისმიერ დროს შეუძლია ჩაანაცვლოს ისინი მისთვის უფრო ხელსაყრელი რესურსებითა და აქტივობებით, თუკი მათი გამოყენება თემას უფრო განავრცობს და გაამრავალფეროვნებს. დაგეგმილ აქტივობებს შორისაა სხვადასხვა სახის მცირე ექსკურსიები, როგორებიცაა, მაგ., „ვიზიტი სამედიცინო პუნქტში“, „ვიზიტი სკოლაში“ და ა.შ. ასეთი ვიზიტები ძალზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა ბავშვმა სრულყოფილად დაინახოს წარმოსახული და აღწერილი პროცესი და შეძლოს რეალობის შედარება საკუთარ მოლოდინებთან (ამგვარი ექსკურსიების ჩატარება, ცხადია, რეკომენდებულია მხოლოდ სათანადო შესაძლებლობის არსებობის

შემთხვევაში). სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობათა დაგეგმვა უფრო ეფექტიანი იქნება, თუკი აღმზრდელები, აქტივობათა კრებულის გარდა, იხელმძღვანელებენ სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სტანდარტით და მასზე დაყრდნობით დააკვირდებიან კონკრეტულ ბავშვსა თუ მთელ ჯგუფს. ვინაიდან ბავშვები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, აღმზრდელმა წარმოდგენილი გეგმები და საქმიანობები ბავშვების ინტერესებსა და საჭიროებებს უნდა მოარგოს.

აქტივობათა კრებულში არის ცხრილები, რომლებიც განკუთვნილია აღმზრდელთათვის, როგორც სამუშაო დოკუმენტი. მათ შორისაა ცარიელი ადგილები, სადაც პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა ჩაწერონ ისეთი სიტუაციები, რომლებიც გამომდინარეობს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებიდან. რაც შეეხება საქმიანობათა თუ აქტიობების დაგეგმვას, ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია აღმზრდელისა და თანაშემწის თანამშრომლობა, რათა სწორად იქნას მოძიებული და შერჩეული საჭირო ლიტერატურა, აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნას თითოეული ბავშვის ინტერესები და შესაძლებლობები.

სასკოლო მზაობის პროგრამისთვის ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად გამოიყენება ასევე თემატური წიგნები და პოსტერები. რომლებიც ეხმარება აღმზრდელ-პედაგოგებს მიაწოდონ აღსაზრდელებს ინფორმაცია სტიქიური მოვლენების, საგანგებო სიტუაციების და ასეთ შემთხვევებში საჭირო თავდაცვის მექანიზმების შესახებ.

3.უცხოური გამოცდილება

3.1სასკოლო მზაობის პროგრამა გერმანიაში

გერმანიის სასკოლო მზაობის პროგრამის რეგულირება ხდება 1957 წელს მიღებული კანონმდებლობით, რომლის თანახმადაც სახელმწიფო უზრუნველყოფს და განკარგავს საბავშვო ბაღების 20%, ხოლო დანარჩენი 80%-ს განკარგავენ რელიგიური გაერთიანებები, პროფესიული გაერთიანებები, გერმანიის წითელი ჯვარი და სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციები. მშობლები იხდიან ბავშვების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯების 50%-ს, ხოლო დარჩენილი თანხის დახარჯვა ხდება სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების მფლობელის მიერ.

გერმანიაში არსებობს შემდეგი სახის სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

- საბავშვო ბაღები სამიდან ექვს წლამდე ბავშვებისათვის, სადაც ბავშვებს შეუძლიათ დაჰყონ როგორც მთელი დღის მანძილზე, ისე ნახევარი დღე;
- სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც არსებობს მხოლოდ ერთი ჯგუფი, აღნიშნული უმეტესად არის უფროსი ასაკის სკოლამდელი ბავშვებისათვის;
- სკოლასთან არსებული ჯგუფები, მხოლოდ 5 წლის ბავშვებისათვის;
- სკოლასთან არსებული მოსამზადებელი კლასები, სადაც ზრდიან და ასწავლიან ხუთი წლის ბავშვებს;
- 3-დან 6-წლამდე ასაკის ჯანმრთელი ბავშვებისათვის არსებული სკოლა-ინტერნატები;
- გარკვეული ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებისათვის არსებული სკოლა-ინტერნატები;
- დედათა ცენტრები, სადაც დედებს თავის შვილებთან ერთად საშუალება აქვთ დაკავდნენ საჭირო საქმით, ისაუბრონ ერთმანეთში, დაელაპარაკნონ პედაგოგებს, ფსიქოლოგებს და ასე შემდეგ [M. Ibuka, 9-12].

თავად სასკოლო მზაობის პროგრამაში ჩართული აღმზრდელების მომზადება გერმანიაში ხდება ფრიად საინტერესოდ. აღმზრდელები სპეციალურ ცოდნას

ეუფლებიან არა უნივერსიტეტებში, არამედ სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

აღმზრდელებთა მომზადება გრძელდება ხუთი წლის მანძილზე და მოიცავს სამ ეტაპს:

- პირველ ეტაპზე, სწავლების პირველი ორი წლის მანძილზე გადიან პრაქტიკულ სტაჟირებას, როდესაც ისინი იღებენ პრაქტიკულ ცოდნას გამოცდილი პედაგოგებისაგან და ასრულებენ სხვადასხვა სახის დავალებებს. აღნიშნულ ეტაპზე ადამიანი ასევე იაზრებს იმას, თუ რამდენად სწორად გააკეთა არჩევანი;
- შემდგომი ორი წელი დაკავშირებულია მომავალი პედაგოგის თეორიულ სწავლებასთან. ამ ეტაპზე ისინი იღებენ ცოდნას ბავშვთა ფსიქოლოგიაზე, პედაგოგიკაზე, ასაკობრივ ფიზიოლოგიაზე და ასე შემდეგ.
- მომზადების მესამე ეტაპი დაკავშირებულია ერთწლიან შემაჯამებელ პრაქტიკულ სწავლებასთან. ამ პერიოდის მანძილზე ახალგაზრდა სპეციალისტები მუშაობენ კვალიფიციურ კოლეგებთან ერთად და ითვისებენ პროფესიის პრაქტიკულ უნარებს.

სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში როგორც წესი მუშაობს შვიდიდან ათ პედაგოგამდე. ამავე დროს სასწავლო პრაქტიკას გადის რამოდენიმე სტაჟიორი. ყოველ ოთახში მუდმივად იმყოფება ორი აღმზრდელი, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ბავშვებს და სთავაზობენ მათ საინტერესო შემეცნებით და გასართობ საქმიანობას.

გერმანიის სკოლამდელ დაწესებულებებში არ არის კონტროლირებადი ჯგუფებად დაყოფის პრინციპი, თუმცა ყველა აღმზრდელი პასუხს აგებს კონკრეტულ აღსაზრდელზე. ყოველი აღმზრდელი პასუხს აგებს 25-მდე სხვადასხვა ასაკის აღსაზრდელზე.

აღმზრდელები მთელი დღის მანძილზე თვალყურს ადევნებენ ბავშვების ქმედებას და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მასში კორექტივების შეტანას. მაგალითისათვის, იმ შემთხვევაში თუ აღსაზრდელი ირჩევს მუდმივად გართობის ერთსა და იმავე სახეობას, აღმზრდელი ცდილობს მისი ყურადღება მიაქციოს სხვა საქმიანობას, თუმცა საბოლოო არჩევანი დამოკიდებულია მაინც აღსაზრდელზე.

გერმანიის სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის პროცესის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ არ ხდება სახელმწიფო ორგანოების მიერ მათი კონტროლი. აღნიშნული საკმაოდ მნიშვნელოვანია, რამდენადაც კონტროლის სისტემის არარსებობა ზრდის აღმზრდელების მხრიდან აღზრდის პროცესისადმი პასუხისმგებლობის გრძნობას, ხოლო მეორეს მხრივ მუშაობის პროცესს ხდის აღსაზრდელებზე და არა მაკონტროლებელ ორგანოებზე ორიენტირებულს.

3.2 სასკოლო მზაობის პროგრამა დიდ ბრიტანეთში

დიდ ბრიტანეთში საკმაოდ დიდი ხნის მანიძლზე არსებობდა ბავშვებზე ზედამხედველობის საზოგადოებრივი ცენტრები. დროთა მანძილზე მოხდა მათი ტრანსფორმაცია და დღეისათვის არსებობს სკოლამდელი აღზრდის თანამედროვე ტიპის დაწესებულებები, რომელიც აგებულია ბავშვების აღზრდის დიფერენცირებულ მიდგომაზე.

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებები აღმზრდელების მომზადებას იწყებენ ხუთი წლის ასაკიდან. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით აღინიშნება სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების სიმცირე. ქვეყანაში ძირითადად გავრცელებულია მუნიციპალური და კერძო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებები, საბავშვო კლასები, დედათა და ბავშვთა კლუბები. სამუშაო სტილიდან გამომდინარე სკოლამდელი დაწესებულებები შეიძლება გავაერთიანოდ შემდეგ სამ ჯგუფად:

- დღის საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახდენენ ბავშვებზე ზედამხედველობას და მოვლას;
- სკოლამდელ აღსაზრდელთა კლასები და სკოლები- რომლებიც მუშაობენ, როგორც ბავშვთა ინტელექტუალური განვითარების ცენტრები და ახდენენ ბავშვების მომზადებას სკოლისათვის;
- სათამაშო ჯგუფები, დედათა და ბავშვთა კლუბები.

დიდ ბრიტანეთი სკოლამდელი დაწესებულებების დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება.

ინგლისური აღზრდა მიმართულია ბავშვის პიროვნულ განვითარებაზე. დაწყებით სკოლაში ადაპტაციის პირველ დღეებს ბავშვი დედასთან ერთად გადის.

სკოლამდელ დაწესებულებებში ერთი აღმზრდელი სამიდან ხუთ წლამდე ასაკის სამი-ხუთი ბავშვის აღზრდით არის დაკავებული.

მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სკოლამდელი დაწესებულებები არსებობს დაწყებული რამოდენიმე თვიდან 5 წლამდე ბავშვებისათვის. აღნიშნული დაწესებულელები მუშაობენ დილის რვიდან საღამოს ექვს საათამდე და ძირითადად მათი აღსაზრდელის მშობლები არიან საშუალო ფენის წარმომადგენლები.

ბრიტანეთში არსებობს კერძო სკოლამდელი დაწესებულებები, რომელიც არის კერძო პირის, ორგანიზაციის ან საქველმოქმედო საზოგადოების განკარგულებაში. არსებობს ასევე სხვადასხვა მსხვილი ორგანიზაციების (ფაბრიკები, დიდი კორპორაციები, ბანკები) განკარგულებაში არსებული სკოლამდელი დაწესებულებები, რომლითაც სარგებლობა შეუძლია ორგანიზაციის თანამშრომლებს და მიზნად ისახავს გამოუთავისუფლოს დასაქმებულს დღის რამოდენიმე საათი ოჯახური ყოველდღიური დატვირთვისაგან.

განსაკუთრებული პოპულარულობით სარგებლობს უფასო სკოლამდელი დაწესებულებები ბავშვებისათვის 3-დან 5 წლამდე. როგორც წესი, მსგავს დაწესებულებებში ხდება აღსაზრდელების მრავალმხრივი განვითარება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გონებრივ, ფიზიკურ, მორალურ, ესთეთიკურ და სხვა მიმართულებით აღსაზრდელის განვითარების ხელშეწყობას.

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა გასართობი ჯგუფები, რომლებიც ერთიანდება სკოლამდელი გასართობი ჯგუფების ასოციაციაში. მათ დაფინანსებაში ნაწილობრივ მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფო, ასევე მათი უზრუნველყოფა ხდება საქველმოქმედო შენატანებით და მშობელთა შეწირულობით. მსგავს ჯგუფებში არის 40-მდე ბავშვი, მუშაობენ კვირაში ხუთი დღე, დღეში 2-3 საათის განმავლობაში. მსგავსი ჯგუფის ხელმძღვანელი ხშირად არის რომელიმე აღსაზრდელის მშობელი, რომელსაც სავალდებულოა რომ ჰქონდეს გავლილი სპეციალური ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მომზადება.

აღსაზრდელთა გასართობი ჯგუფები არსებობს საავადმყოფოებთანაც, იმ ბავშვებისათვის, ვინც გადის მკურნალობის გარკვეულ კურსს. ჩამორჩენილი განვითარების მქონე ბავშვებისათვის არსებობს ცალკე ჯგუფები. სწავლის პროცესი

აგებულია თამაშის პრინციპზე, თუმცა ჯგუფებში როგორც წესი არიან უფრო ცოტა აღსაზრდელები. აღზრდის პროცესში გამოიყენება სპეციალური გასართობი და შემეცნებითი მასალები.

როგორც უკვე აღინიშნა არსებობს ასევე დედათა და ბავშვთა კლუბები, რომელიც გულისხმობს დედათა აუცილებელ დასწრებას და მონაწილეობას სწავლების პროცესში. ასეთ დროს ჯგუფში მუშაობა აგებულია თამაშის პრინციპზე.

ბრიტანული სასკოლო მზაობის პროგრამა აგებულია პრინციპით, რომლის მიხედვითაც აღსაზრდელი არის მთელი ამ პროცესის აქტიური სუბიექტი. აღმზრდელის მთავარ მიზანს წარმოადგენს აღსაზრდელის ინდივიდუალურობის განვითარება, აღსაზრდელის, როგორც დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბავშვის ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად სწავლების პირველ დღეებში ბავშვები დაწესებულებაში იმყოფებიან მშობლებთან ერთად.

3.3 სასკოლო მზაობის პროგრამა საფრანგეთში

პირველი სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება საფრანგეთში გაიხსნა 1770 წელს. საკმაოდ აქტიურად იწყო განვითარება 1826 წლიდან, როდესაც დაიწყო საბავშვო ბაღების გახსნა დაბალი სოციალური ფენისათვის ჯერ პარიზში, ხოლო მოგვიანებით სხვა სამრეწველო ქალაქებში. 1830 წლიდან სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ზრუნვას იწყებს სახელმწიფო.

დღეისათვის სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებები საფრანგეთში არის უფასო. ბავშვები იწყებენ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სიარულს 2-3 წლის ასაკიდან.

სკოლამდე საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბავშვების დაყოფა ხდება სამ ასაკობრივ ჯგუფად:

- 2-დან 4 წლამდე ბავშვები, სადაც აღსაზრდელები მხოლოდ ერთობიან;
- 4-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვები, სადაც ბავშვები სწავლობენ ხატვას და ასრულებენ სხვადასხვა პრაქტიკულ დავალებებს;
- 5-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები, სადაც ბავშვები ბავშვები ემზადებიან კითხვისა და არითმეტიკის შესასწავლად.

დაწესებულებები მუშაობენ კვირაში ხუთი დღე. დიდ ქალაქებში დილის რვა საათიდან საღამოს 6-7 საათამდე, ხოლო პერიფერიებში დღის განმავლობაში ექვსი საათი, დაახლოებით დღის 2-3 საათამდე. ფრანგული სკოლამდელი საგანმანათლებლო სისტემა ითვლება ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი აკრიტიკებს მას უკვე ჩამოყალიბებული დისციპლინისა და სიმკაცრის გამო, რომელიც თითქოსდა არ აძლევს აღსაზრდელებს არჩევანის თავისუფლებას.

1997 წლიდან იწყება საგანმანათლებლო პროცესის მოდერნიზაცია, ხდება მისი გათანამედროვება. ამ პროცესში აღსანიშნავია უცხო ენის სწავლების პროცესში დანერგვა, ასევე დიდი ყურადღება ექცევა სწავლების პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიის დანერგვას. ამასთან ფრანგები არ ამბობენ უარს საგანმანათლებლო სფეროში ჩამოყალიბებულ ტრადიციებზე, კერძოდ ენციკლოპედიური განათლების სისტემის წახალისებაზე.

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების მთავარ მიზანს წარმოადგენს აღსაზრდელის ფიზიკური, სოციალური, ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარება. ხდება აღსაზრდელების ქმედების წახალისება, რათა მათ ისწავლონ საკუთარი ქმედების კონტროლი, საკუთარი თავის მომსახურება, საკუთარი უფლებების დაცვა და ასე შემდეგ. აღნიშნული უნარების გამომუშავება განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე მულტიკულტურულ ფრანგულ საზოგადოებაში.

პროფესიონალი პედაგოგი ადევნებს თვალყურს იმას, თუ როგორ იქცევა და წყვეტს ამა თუ იმ საკითხს აღსაზრდელი, როგორ ხდება მისი გონებრივი შესაძლებლობებისა და ლოგიკური აზროვნების განვითარება. ყველა ამ ზემოხსენებულის განვითარება ხდება თანატოლებთან სწორი კომუნიკაციის საფუძველზე.

როგორც წესი, დაბალი ასაკის აღსაზრდელების დღე იწყება თამაშით, ამის შემდგომ იწყება მეტყველების გაკვეთილი, რომლის დროსაც გამოიყენება საბავშვო ლექსები, ზღაპრები და ისტორიები და ასე შემდეგ.

მკაცრად განსაზღვრულ დროს ბავშვებს აქვთ საუზმე, რის შემდეგაც ხანმოკლე გასეირნება სუფთა ჰაერზე, ამის შემდგომ იწყება სხვადასხვა გაკვეთილები

გამომდინარე აღსაზრდელის ასაკიდან: ხატვა, ენის გაკვეთილები, ან ენერგიული ფიზიკური დატვირთვა (ფიზკულტურა), რის შემდეგაც ისინი აუცილებლად ისვენებენ ინდივიდუალურ პატარა ხალიჩებზე. ტარდება ასევე მუსიკალური გაკვეთილებიც.

4-დან 5-წლის ასაკის აღსაზრდელებისათვის გამოიყენება უფრო მრავალფეროვანი გაკვეთილები. ხატვის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა საშუალებები და მეთოდები. აღმზრდელები ცდილობენ აღსაზრდელებთნ ისაუბრონ სპონტანურად წამოჭრილ თემებზე, რომლის დროსას აღმზრდელი ცდილობს საჭიროების შემთხვევაში შეასწოროს აღსაზრდელის მეტყველების პროცესში დაშვებული გრამატიკული და არტიკულაციური შეცდომები.

უფრო ინტენსიური დატვირთვაა ფიზკულტურის გაკვეთილებზეც. აღსაზრდელებს უწევთ გარკვეული ფიზიკური წინააღმდეგობების გადალახვა, ბალანსირებასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება, ან მუსიკის ფონზე მოქმედება.

5-დან 6 წლის ასაკის ბავშვებს აქვთ საქმიანობის არჩევის უფრო მეტი თავისუფლება. მეცადინეობის პროცესში გამოიყენება წიგნები, ალბომები, ჟურნალები. ხატვის დროს ბავშვები ხატავენ გრაფიკულ ხაზებს, რაც მათ ხელს ამზადებს სამომავლო წერისათვის. გაკვეთილზე ასევე ჭრიან გარკვეულ საგნებს, ეძებენ მსგავსებებსა და ანალოგიებს რამაც სამომავლოდ გავლენა უნდა მოახდინოს მათი მათემატიკური შესაძლებლობების განვითარებაზე. ფიზკულტურის გაკვეთილებზე კავდებიან უკვე ჯგუფური თამაშებით, რომელთაც აქვთ გარკვეული შესრულების და მოქმედების პირობები.

სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მას შემდეგ რაც შეიკრიბება მთელი ჯგუფი, ბავშვებს ახსენებენ მათ მოვალეობას მაგალითისათვის, ყვავილის მორწყვა, თევზის, კურდღლის და ასე შემდეგ გამოკვება. შემდგომ ხდება მათი განაწილება გაკვეთილების მიხედვით, რომელსაც ასრულებენ ერთი საათის მანძილზე, რის შემდეგაც აღზრდელი აჯამებს გაკვეთილის შედეგს და იწყება საუზმე. დღის განმავლობაში მათ აქვთ მუსიკის გაკვეთილები, შესაძლოა სხვა ჯგუფთან ერთად დაკავდნენ რიტმის შესწავლით ან მოუსმინონ მუსიკალურ ნაწარმოებს. გასეირნების შემდეგ სადილობენ, რის შემდეგაც იწყება მეტყველების

განვითარებასთან დაკავშირებული ნახევარსაათიანი გაკვეთილი. ბავშვები ასევე კავდებიან ხატვით, ხეზე მუშაობით, ძერწვით და სხვა. გაკვეთილის განმავლობაში ბავშვი უნდა დაკავდეს მინიმუმ ორი სახეობის საქმიანობით. უმეტეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბავშვი თავად ირჩევს როდის რა სახის საქმიანობით დაკავდება და ამის ჩანიშვნას ახდენენ სპეციალურ დაფაზე, თუმცა აქვე იციან ისიც, რომ მთელი კვირის მანძილზე აუცილებლათ უნდა დაკავდნენ ყველა სახის საქმიანობით და არა მხოლოდ ერთით.

საფრანგეთში არსებობს სკოლამდელი განათლების ერთიანი საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის შემუშავება ხდება მეთოდისტების მიერ. დაწესებულებების საქმიანობა მკაცრად კონტროლდება და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კერძო დაწესებულებებს და ბავშვების ინტერესებისა და უფლებების დაცვას. (პარამონოვა, პროტაცოვა, გვ. 96-102)

საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირება მიზნად ისახავს უფრო მეტ ღიაობას, უფრო მეტ მიმზიდველობას აღსაზრდელებისათვის, თუმცა ამავე დროს ნარჩუნდება ისტორიულად ჩამოყალიბებული მაღალი აკადემიური სტანდარტები.

4.კვლევითი ნაწილი

სასკოლო მზაობის პროგრამის 3 წლიანი მუშაობის, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების, მოლოდინების შეფასების საჯარო კვლევა დღემდე არ ჩატარებულა.

გამომდინარე აქედან არ არსებობს შეფასება იმის შესახებ, გამართლდა თუ არა სახელმწიფოს მოლოდინები აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებაში, რა მოლოდინები ჰქონდათ უშუალოდ პროგრამაგავლილ მოსწავლეების მშობლებს, რა არის პროგრამის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

კვლევის მიზანი და დანიშნულება წარმოადგენს სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების დადებითი და უარყოფითი მხარეების კვლევა, სახელმწიფოს მოლოდინები და როლი ამ პროგრამის განხორციელებაში. კვლევის შედეგები გვიქმნის ზოგად წარმოდგენას საქართველოში არსებული სასკოლო მზაობის პროგრამის შესახებ.

სასკოლო მზაობის პროგრამის მიმართულებით სამომავლო პროექტების განხორციელების დროს კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება როგორც საბაზო მონაცემები. ამასთანავე, შესაძლებელი იქნება კვლევაში მონაწილე სკოლების მოსწავლეების აკადემიურ წარმატებაზე დაკვირვება .

კვლევის ობიექტი - მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული არაქართულენოვანი საბავშვო ბაღები, სკოლები რომლებშიც ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამა და ის სკოლები, რომლებშიც სწავლობენ ამ პროგრამა გავლილი (სასკოლო მზაობის პროგრამა) ბავშვები.

კვლევის მეთოდოლოგია - სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების დადებითი და უარყოფითი მხარეების კვლევა წარმოადგენს ქვემო ქართლის რეგიონში, კერძოდ კი მარნეულის მუნიციპალიტეტის 2 არაქართულენოვანი ბაღისა და 7 სკოლის აღმზრდელ- მასწავლებლის, სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგებისა და მშობლების შერეულ კვლევას. კვლევის მეთოდებად შერჩეულია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მეთოდი. კვლევის დიზაინია **შერეული კვლევა.**

კვლევის ფარგლებში გამოიყო სამიზნე ჯგუფები:

კლასტერული მეთოდით შერჩეული ქვემო ქართლის რეგიონში , კერძოდ მარნეულში არსებული არაქართულენოვანი საბავშვო ბაღების აღმზრდელები და ქართულის, როგორც მეორე ენის მასწალებლები, საჯარო სკოლის მასწავლებლები (I-II კლასის დამრიგებლები) და მათი ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები და მოსწავლეთა მშობლები (I-II კლასი).

მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტი:

სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების დადებითი და უარყოფითი მხარეების კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა სამი სახის კითხვარის შემუშავება. გამომდინარე იქიდან, რომ ქვემო ქართლში ენის ბარიერი კვლავ ერთ-ერთი გამოწვევად რჩება, კითხვარი შედგენილია ქართულ- აზერბაიჯანულ ენაზე.

- კითხვარი სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელებისთვის;
- კითხვარი მასწავლებლებისთვის, რომლებიც ასწავლიან პროგრამა გავლილ მოსწავლეებს;
- კითხვარი მშობლებისთვის.

ძირითადი საკვლევი საკითხები:

- სახელმწიფოს ხელშეწყობა სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელებაში;
- სასკოლო მზაობის პროგრამის ეფექტურობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები;
- სასკოლო მზაობის პროგრამის სწავლებისას არსებული პრობლემები;
- სასკოლო მზაობის პროგრამის გავლის შემდგომი მოლოდინები.

ჩემს სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა მარნეულის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვანი (აზერბაიჯანელი) საბავშვო ბაღებსა და საჯარო სკოლებში არსებული სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელ-პედაგოგები, ამ პროგრამაგავლილი ბავშვების მასწავლებლები (I და II კლასები) და მშობლები.

შერჩევა მოხდა კლასტერული მეთოდით, შეირჩა საბავშვო ბაღები, სკოლები, სადაც ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამა და ასევე ის სკოლები, რომელშიც დადიან ამ პროგრამაგავლილი ბავშვები.

კვლევისათვის შემუშავებული გეგმის მიხედვით, საკვლევი პოპულაციის წევრებს (აღმზრდელ-პედაგოგებს, მასწავლებლებსა და მშობლებს) დაურიგდათ წინასწარ მომზადებული კითხვარი.

I და II კლასის მოსწავლეთა მშობლები შეირჩნენ **სისტემური შერჩევის მეთოდით** (შემთხვევითი შერჩევის მოდიფიცირებული ფორმა). გამოიკითხა ყოველი მე-3 მშობელი.

მონაცემთა შეგროვების მიზნითა და შემდგომში ანალიზისთვის აღმზრდელ-პედაგოგებსა და მასწავლებლებს ასევე ჩაუტარდათ პირდაპირი ჩაღრმავებული ინტერვიუ. ინტერვიუს პროცესში, ასევე ხორციელდებოდა ჩანაწერები იმ გამოკვეთილი პრობლემებისა, რომლებიც არ იყო კითხვარში. ინფორმაციის სიზუსტისთვის გამოყენებული იყო ასევე სატელეფონო კვლევის სისტემაც.

5.საკვლევი საკითხების მოკლე მიმოხილვა

5.1 სახელმწიფოს ხელშეწყობა სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელებაში

ადრეულ და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან 1994 წელს დაიწყო, როდესაც საქართველომ ბავშვთა უფლებების დეკლარაციის რატიფიცირებით დაადასტურა, რომ აღიარებს ყოველი ბავშვის უფლებას ჰქონდეს ცხოვრების ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.

საქართველოში ადრეული და სკოლამდელი განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობისათვის, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტზე მოახდინა ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის მართვის დელეგირება. რის საფუძველზეც, მათ დაეკისრათ ვალდებულება, უზრუნველყონ როგორც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, ასევე სასკოლო მზაობის პროგრამის (რომელიც ითვალისწინებს 5-6 წლის ბავშვების სკოლისათვის მომზადებას) ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა (საკვები პროდუქტებით მომარაგება და ინფრასტრუქტურის მოწყობა).

5.2 სასკოლო მზაობის პროგრამის ეფექტურობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები

სასკოლო მზაობის პროგრამის ეფექტურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი გულისხმობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებასა და მომზადებას სკოლისათვის.

პროგრამის დადებით მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ 5-6 წლის ბავშვები 7 თვის განმავლობაში თამაშ-თამაშით ეუფლებიან იმ საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც მათ დაეხმარებათ წარმატებულ მოქალაქეებად ფორმირებაში, მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. სასკოლო მზაობის პროგრამა ეხმარება ბავშვებს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში, ხელს უწყობს ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ სიჯანსაღეს და ამზადებს მას სკოლისათვის, უქმნის პოზიტიურ განწყობას სკოლისადმი. პროგრამის დადებით მხარეს ასევე შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ იგი

უმეტეს წილად ხელმისაწვდომია და ნაკლები დანახარჯით მიიღება დიდი სარგებელი. რომლის დასტურია სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფები საჯარო სკოლებში, რომლებშიც საჭიროებენ ერთ ან ორ ოთახს, მხოლოდ ერთ მასწავლებელსა და მისთვის, მასალების შესაძენად საჭირო მცირე ხარჯებს. ამასთანავე, ვინაიდან მეცადინეობა მიმდინარეობს მხოლოდ 4 საათის განმავლობაში, დროის სიმცირის გამო არ საჭიროებენ კვებას, რაც დამატებითი ხარჯებისგან ათავისუფლებს პროგრამას.

რაც შეეხება **სასკოლო მზაობის პროგრამის უარყოფითი მხარეებს,** აქ შეიძლება მთავარ უარყოფით მხარედ გამოიყოს ის ფაქტი, რომ პროგრამის გავლას ვერ ახერხებს ამ ასაკის (5-6) ყველა ბავშვი. ზოგიერთ სოფელში მოსახლეობის სიმცირის გამო არ გროვდება ჯგუფის გახნისათვის აუცილებელი მინიმალური რაოდენობა (15 ბავშვი), რის გამოც, არ ხდება სასკოლო მზაობის ჯგუფის შექმნა და ბავშვებს უხდებათ მიმდებარე სოფლებში სიარული, რასაც დიდი ნაწილი ვერ ახერხებს ტრანსპორტის უქონლობის გამო.

5.3 სასკოლო მზაობის პროგრამის გავლის შემდგომი მოლოდინები

სასკოლო მზაობის პროგრამის შემქმნელებსა და ავტორებს ჰქონდათ მოლოდინები, რომ პროგრამის გავლის შემდეგ 5-6 წლის ასაკის თითქმის ყველა ბავშვი იქნებოდა მზად სკოლისათვის, შეიძენდა საჭირო უნარ-ჩვევებს, რაც დაეხმარებოდა მომავალში ღირსეულ პიროვნებად ფორმირებაში. ამ ყველაფრის მიღწევის წინა პირობად კი სახელდება პროგრამის ზუსტი და ზედმიწევნით განხორციელება. იმ აუცილებელი საქმიანობების შესრულება და უკვე შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება , რომელიც არსებობს ამ კუთხით.

5.4 სასკოლო მზაობის პროგრამის სწავლებისას არსებული პრობლემები

სასკოლო მზაობის პროგრამის სწავლებისას არებული პრობლემების ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად სახელდება ის, რომ ჯერ კიდევ ენობრივი ბარიერის არსებობის გამო, არაქართულენოვანი აღმზრდელ-პედაგოგები და მასწავლებლები ვერ ახერხებენ

არსებული აქტივობების კრებულების თუ დამხმარე სახელმძღვანელოების სრულყოფილად გამოყენებას. ზოგ შემთხვევაში ხდება მათი ჩანაცვლება სხვა ქვეყნის (აზერბაიჯანის) სასკოლო მზაობის პროგრამის თუ პირველი კლასისთვის განკუთვნილი წიგნებით. რაც ნიშნავს იმას, რომ პირველ რიგში ეს არის კანონდარღვევა და მეორე, აღნიშნული აქტივობები განკუთვნილია იმ შედეგების მისაღწევად, რაც გაწერილია არა საქართველოს, არამედ აზერბაიჯანის სკოლამდელი განათლების ეროვნულ მიზნებში.

სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელებაში კიდევ ერთი პრობლემის გამოკვეთა ხდება ამ პროგრამაგავლილი ბავშვების მასწავლებლებისგანაც . I კლასის მასწავლებლები, მათ შორის ქართული ენის ერთ-ერთ მწვავე პრობლემად მიიჩნევენ პროგრამის მასწავლებლების არაკვალიფიციურობას, რაც მათივე თქმით გამოიხატება იმაში, რომ პირველი კლასის მოსწავლეები ფლობენ არა სკოლისათვის საჭირო-უნარ ჩვევებს, არამედ პირველი კლასის პროგრამას, რაც მათ შემდგომში უკარგავს მოტივაციას. რაც შეეხება I კლასის ქართულის, როგორ მეორე ენის მასწავლებლების პოზიციას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში,ისინი ძირითადად უკმაყოფილებას გამოთქვამენ პროგრამის იმ არაქართულენოვან მასწავლებლების მიმართ, რომლებიც ასწავლიან სახელმწიფო ენას. მათი თქმით, ხშირ შემთხვევაში მოსწავლეებმა დამახინჯებულად იციან ქართული სიტყვები, არ ფლობენ საჭირო უნარებს და მათ უხდებათ ყველაფრის ნულიდან დაწყება .

6. კვლევის ანალიზი

სამაგისტრო თემის ფარგლებში, კვლევა ჩავატარე ქვემო ქართლის რეგიონში, კერძოდ, მარნეულის მუნიციპალიტეტში. სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ეთნიკურად აზერბაიჯანელები. კლასტერული მეთოდით შევარჩიე არაქართულენოვანი 2 ბაღი და 7 საჯარო სკოლა. მათი აღმზრდელ-მასწავლებლები და ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგები. ასევე, მოსწავლეთა მშობლები, რომელთა შერჩევა მოხდა სისტემური მეთოდით, შეირჩა ყოველი მე-3 მშობელი.

კვლევის დიზაინიდან გამოდინარე შემუშავებული იყო სამი სახის კითხვარი. სასკოლო მზაობის პროგრამის მასწავლებლებისათვის განკუთვნილი კითხვარი შედგებოდა ათი ღია კითხვისგან. მშობლების კითხვარი შედგებოდა ცხრა დახურულისა და ერთი ღია კითხვისგან, რაც შეეხებათ მასწავლებლებისთვის განკუთვნილს, იგი შედგებოდა 9 მოსაზრებისგან და ერთი ღია კითხვისგან რომელშიც რესპოდენტს საშუალება ეძლეოდა გამოეხატა საკუთარი პოზიცია და მოეცა რეკომენდაციები საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით.

გთავაზობთ კვლევისათვის კლასტერული მეთოდით შერჩეული 9 აღმზრდელის კითხვარის ანალიზს.

გამოკითხულ რესპოდენტთა თითქმის ნახევარზე მეტი კითხვაზე თუ როგორ ესმოდათ ტერმინი „სასკოლო მზაობა“ მოკლედ და კონკრეტულად ასახელებდნენ, რომ ეს იყო მომზადება სკოლისათვის. გარკვეული ნაწილისათვის ეს იყო ტერმინი, რომელიც გულისხმობდა დისციპლინის ცოდნას, უფროსების პატივისცემასა, საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას. აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ზოგიერთი რესპოდენტისთვის იყო მხოლოდ ის, რომ ტერმინი „სასკოლო მზაობა“ გულისხმობს ამ ასაკის ბავშვებისთვის (5-6 წლის) წერა-კითხისა და ანგარიშის ცოდნას.

შემდეგი კითხვა შეეხებოდათ მასწავლებლების კვალიფიკაციას და იმ ტრენინგების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მათ ჰქონდათ გავლილი. რესპოდნტთა დიდი ნაწილი აღნიშნავდა ,რომ პროგრამის დასაწყისში მათ გაიარეს „რაღაც 40 საათიანი“ ტერენინგი, რომლიც იყო სახემწიფო ენაზე და მათთვის არც თუ ისე დიდი სარგებელი მოუტანია. მეორე ნაწილი კი აღნიშნავდა, რომ ამ მიმართულებით არ

გაუვლიათ არცერთი ტრენინგი, თუმცა ჰქონდათ დიდი სურვილი სიახლის გაგებისა და გამოხატავდნენ მზადყოფნას.

რესპოდენტებისათვის ყველაზე „მტკივნეული“ აღმოჩნდა შემდეგი კითხვა- რომელი სახელმძღვანელოებით სარგებლობდნენ, რამდენად აკმაყოფილებს ისინი მოთხოვნებს და ხომ არ საჭიროებს შეცვლას. რესპოდენტები აღნიშნავდნენ, რომ პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისათვის საჭირო ყველა სახელმძღვანელო თუ დოკუმენტი ჰქონდათ. თუმცა, მათი უმრავლესობა არის მხოლოდ ქართულ ენაზე და სახელწიფო ენის არცოდნის გამო ისინი ვერ ახერხებდნენ იმ აქტივობების სრულყოფილად განხორციელებას, რაც მოცემულია კრებულებში რეკომენდაციების სახით.

რაც შეეხება კითხვას თუ რას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება ქართული, როგორც მეორე ენის სწავლებისას, რესპოდენტები აღნიშნავდნენ, რომ ყველაზე მეტად ყურადღება უნდა გამახვილდეს ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე.

სასკოლო მზაობის პროგრამის მასწავლებლებს ასევე ჰქონდათ საშუალება მიეცათ რეკომენდაცია სახელმძღვანელოს ავტორ(ებ)ისათვის. მათი რეკომენდაციები იყო შემდეგი სახის: უკეთესი იქნებოდა ავტორ(ებ)ს აქტივობები შეერჩიათ ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით; ერთმანეთისგან გაემიჯნათ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული სასკოლო მზაობის ჯგუფებისა და საჯარო სკოლის შენობაში არსებული ამ პროგრამის ჯგუფების აქტივობები. მათი თქმით, საჯარო სკოლებში არსებული ჯგუფების მიერ ზოგიერთი აქტივობის განხორციელება ფიზიკურად შეუძლებელია.

რესპოდენტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს ყურადღება გამახვილდა ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუს პერიოდში ისინი იყვნენ უფრო გახსნილები, თამამად საუბრობდნენ არსებულ პრობლემებზე და ყურადღებას ამახვილებდნენ ისეთ საკითხებზეც, რომლებიც არ იყო წინასწარ შემუშავებულ კითხვარში.

სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების დადებითი და უარყოფითი მხარეების (მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგალითზე) კვლევის ფარგლებში ასევე

გამოიკითხა I და II კლასის დამრიგებლები და მათი ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები.

რესპოდენტებს დაურიგდათ წინასწარ მომზადებული კითხვარი, რომელიც მოიცავდა ცხრა მოსაზრებასა და ერთ ღია კითხვას. დახურულ კითხვებში, მოყვანილი იყო მოსაზრება, რომელსაც ჰქონდა სამი არჩევითი პასუხი(„დიახ“; „არა“; „ნაწილობრივ“).

მოსაზრებას: - **სასკოლო მზაობის პროგრამაგავლილი მოსწავლეები გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით,** სრულიად დაეთანხმა რესპოდენტთა თითქმის 65%, ნაწილობრივ - 29%, ხოლო არ დაეთანხმა გამოკითხულთა 16%. მათ მიაჩნიათ, რომ მათი აკადემიური მოსწრების მაღალი დონე შეიმჩნევა მხოლოდ I კლასში. II კლასში ყოფნისას კი ისინი უტოლდებიან ან/ და ჩამოუვარდებიან იმ ბავშვების დონეს, ვისაც არ გაუვლიათ სასკოლო მზაობის პროგრამა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მათი აზრით, ეს ძირითადად გამოწვეულია დაზეპირებული მასალით.

გამოკითხულ მასწავლებელთა 23% პროცენტი სრულიად, ხოლო 61% ნაწილობრივ დაეთანხმა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ **სასკოლო მზაობის პოგრამაგავლილი მოსწავლეები სრულიად არიან მზად სკოლისათვის.** რაც შეეხება დარჩენილ 14%-ს ისინი ერთხმად აღიარებდნენ, რომ არ შეიძლება მოსწავლეები სრულიად იყვნენ მზად სკოლისათვის ,ვინაიდან არსებობს მთელი რიგი ხელის შემშლელი ფაქტორები.

მოსაზრებაზე , რომ **სასკოლო მზაობის პროგრამაგავლილ მოსწავლეებს არ უჭირთ წერა, თვლა და საუბარი** რესპოდენტთა თითქმის 91% პროცენტი დაეთანხმა სრულიად, ხოლო 6% ნაწილობრივ. აღნიშნულ მოსაზრებას არ დაეთანხმა მხოლოდ გამოკითხულთა 3%. რესპოდენტები ერთხმად აღიარებდნენ იმ ფაქტს, რომ სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილ ბავშვებს ყველაზე კარგად რაც გამოსდით ეს არის წერა და თვლა. აქვე დასძინეს, რომ ისინი არამარტო წერენ და ითვლიან გამართულად, არამედ იციან კითხვა და ანგარიშიც.

გამოკითხულ მასწავლებელთა 65%-ს მიაჩნიათ, რომ **სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილი მოსწავლეები არიან უფრო მოტივირებულები, არ უჭირთ მათი ჩართვა საგაკვეთილო პროცესში.** რაც შეეხება 26% ისინი დებულებას ეთანხმებიან ნაწილობრივ. ხოლო დარჩენილი 9% ამბობენ, რომ პროგრამა გავლილი ბავშვები ზედმეტად აქტიურები არიან და ხშირ შემთხვევაში უჭირთ მათი მართვა.

რაც შეეხება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ **სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილ მოსწავლეებს უადვილდებათ სასკოლო მასალის ათვისება,** ყველა რესპოდენტი ერთხმად აღიარებს მას. ზოგიერთი კი, ჩაღრმავებული ინტერვიუს ფარგლებში აღნიშნავენ, რომ მათ არა უადვილდებათ ,არამედ ხშირ შემთხვევაში უკვე იციან პირველი კლასის პროგრამა.

რესპოდენტთა ნახევარზე მეტს (57%), მიაჩნია, რომ მოსაზრება **სასკოლო მზაობის პროგრამაგავლილ მოსწავლეებს უჭირთ კონცენტრაცია, სულ უნდათ თამაში** არ არის ჭეშმარიტი, 26% ფიქრობს რომ ნაწილობრივ ასეა, მაგრამ ეთანხმება რესპოდენტთა 17%.

მოსაზრებას, რომ **სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილი მოსწავლეები ფლობენ პირველი კლასის პროგრამას, რაც მათ უკარგავს მოტივაციას** რესპოდენტთა 73% სრულიად, ხოლო 19% ნაწილობრივ დაეთანხმა. დარჩენილი 8% კი აცხადებს, რომ აღნიშნული მოსაზრებას არ ეთანხმებიან და მიაჩნიათ, რომ მოსწავლეები ფლობენ მხოლოდ იმ საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რასაც ითვალისწინებს პროგრამა.

წინასწარ შემუშავებული კითხვარის სპეციფიკიდან გამომდინარე , გამოკითხულ მასწავლებლებს ასევე ეძლეოდათ შესაძლებლობა ერთი ღია კითხვის საშუალებით დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც იკვეთება ამ მიმართულებით. რესპოდენტთა დიდ ნაწილს მოსწონთ სასკოლო მზაობის პროგრამის არსებობა. ერთხმად აღნიშნავენ პროგრამის იმ დადებით მხარეს, რომ მოსწავლეები უფრო მოწესრიგებულნი არიან, იციან კალმის ხელში დაჭერა, ნაკლებად უჭირთ კონცენტრაცია და გამომუშავებული აქვთ გუნდური მუშაობის უნარი. გამოკითხულთა დანარჩენი ნაწილი კი აღნიშნავს, რომ

სასკოლო მზაობის პროგრამის მასწავლებლები ერევიან მათ კომპეტენციაში და მოსწავლეებს ასწავლიან მათი ასაკისთვის შეუფერებელ მასალას.

ასევე გამოიკითხა კვლევაში მონაწილე საჯარო სკოლების I და II კლასის მოსწავლეების მშობლები, რომლებიც შეირჩა სისტემური მეთოდით (ყოველი მე-3).

წინასწარ შემუშავებული კითხვარით, რომელიც მოიცავდა 9 დახურულ და ერთ ღია კითხვას, რესპოდენტებს ეძლეოდათ საშუალება დაეფიქსირებინათ მათი აზრი სამი სავარაუდო პასუხით „დიახ“, „არა“ , „ნაწილობრივ“ . სულ გამოიკითხა 112 მშობელი. გამოკითხულ მშობელთა თითქმის 80% სრულიად და 8% ნაწილობრივ ფიქრობს, რომ ბავშვის სრულყოფილად განვითარებისთვის საჭიროა სასკოლო მზაობის პროგრამის გავლა. მშობელთა 12%-ს კი მიაჩნია, რომ ბავშვის განვითარებისათვის აუცილებელობას არ წარმოადგენს აღნიშნული პროგრამა.

გამოკითხულ მშობელთა თითქმის 98% დადებითად პასუხობს კითხვას იმის შესახებ, რომ სასკოლო მზაობის პროგრამაგავლილი ბავშვები სრულიად არიან მზად სკოლისათვის და ამ ყველაფერს ამყარებენ იმ არგუმენტებით, რომ მათმა შვილებმა პროგრამის გავლის შემდეგ იციან როგორც მშობლიურ, ასევე სახელმწიფო ენაზე თვლა, წერა, კითხვა და სხვადასხვა ლექსებიც.

კითხვაზე **ეხმარება თუ არა სასკოლო მზაობის პროგრამის გავლა 5-6 წლის ბავშვებს კომუნიკაციის უნარების განვითარებაში** , გამოკითხულ მშობელთა 73% პასუხია დიახ, 19% კი აღნიშნავს, რომ ნაწილობრივ. დარჩენილი 8% კი თავს იკავებს კითხვაზე პასუხის გაცემით.

რესპოდენტების პასუხები კითხვაზე-**თქვენი აზრით, სასკოლო მზაობის პროგრამაში მონაწილეობა ეხმარება თუ არა მოსწავლეებს თავისუფალი რიტმიდან სასკოლო ცხოვრების რეჟიმზე გადასვლაში?** გადანაწილდა შემდეგნაირად: დიახ- 66%, ნაწილობრივ- 16% და არა- 18%.

გამოკითხულ მშობელთა ხმები ორად გაიყო კითხვაზე - **უწყობს თუ არა ხელს სასკოლო მზაობის პროგრამა ბავშვის ემოციურ განვითარებას?** ნაწილი (50%) აღნიშნა, რომ ნაწილობრივ, ნაწილმა (50%) კი მტკიცედ უარყო და თქვა, რომ არა.

საინტერესოდ გამოიყურება პასუხი კითხვაზე- **თქვენი აზრით სასკოლო მზაობის პროგრამა ეხმარება თუ არა ბავშვებს იმ უნარების განვითარებაში, რაც საჭიროა სკოლაში სხვა ბავშვებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობისთვის?** რესპოდენტების თითქმის 11 %-მა თავი შეიკავა აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემისგან, ხოლო დანარჩენმა (89%) ერთხმად უპასუხა, რომ დიახ.

რაც შეეხება პროგრამის გავლის შემდგომ მოლოდინებს, აღნიშნულ კითხვას (**გაამართლა თუ არა სასკოლო მზაობის პროგრამის გავლამ თქვენი მოლოდინები?**) პასუხით-დიახ უპასუხა 43% -მა, ნაწილობრივ- 32%-მა და პასუხით, რომ არა რესპოდენტთა 25%-მა .

გამოკითხულ მშობელთა 88%-ს მიაჩნია, რომ სასკოლო მზაობის პროგრამის გავლის შემდეგ მათი შვილებს აქვთ ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზისო ცოდნა.

კითხვარის ფორმატიდან გამომდინარე მშობლებს ერთი ღია კითხვით მიეცათ საშუალება გამოეთქვათ აზრი რა მოსწონდათ აღნიშნულ პროგრამაში და რა არ მოსწონდათ, რას შეცვლიდნენ ან/და რა რეკომენდაციებს გასცემდნენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მშობლებმა დააფიქსირეს აზრი, რომ მათი შვილებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს პროგრამა და ისინი ძირითადად დიდ მადლობას უხდიდნენ სახელმწიფოს, პროგრამის ავტორებსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, რომ მათ შვილებს მისცეს საშუალება აღნიშნული პროგრამის უფასოდ (სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების ხელშეწყობას მთლიანად აფინანსებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები) გავლისა. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ მათ არ აქვთ საკმარისი დრო, რომ სკოლაში შესვლამდე დაეხმარონ შვილებს . ამიტომ მოხარული არიან, რომ დაინერგა აღნიშნული პროგრამა.

დასკვნა

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის **სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების დადებებითი და უარყოფითი მხარეების** (მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგალითზე) ფარგლებში გამოიკითხა აღნიშნული მუნიციპლიტეტის შერჩეული სკოლამდელი აღზრდის დაწერებულებების (საბავშვო ბაღები) და საჯარო სკოლების აღმზრდელ-პედაგოგები, საჯარო სკოლების I და II კლასის ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები დამრიგებლები. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ასევე აღნიშნული კლასების მოსწავლეთა მშობლებმაც.

პირველ ეტაპზე დაიწერა კვლევის პროსპექტუსი. შემუშავდა სამი სახის კითხვარი და დაურიგდათ რესპოდენტებს. საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით, კითხვარებთან ერთად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგებს, სასკოლო მზაობის პროგრამისა და საჯარო სკოლების მასწავლებლებს ჩაუტარდათ პირდაპირი ჩაღრმავებული ინტერვიუ.

კვლევის შედეგად შეიძლება თამამად ითქვას, რომ სასკოლო მზაობის პროგრამას შექმნასა და განხორციელებაში დიდი მხარდაჭერა აქვს სახელმწიფოსგან.

აღსანიშნავია, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტო მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF), პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და სხადასხვა საერთაშორისო ასოციაციებსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია საკანონმდებლო ბაზა.

კითხვარებისა და ინტერვიუს ანალიზის შედეგებით გამოიკვეთა როგორც სასკოლო მზაობის პროგრამის, ასევე მისი განხორციელების დადებითი და უარყოფითი მხარეები. პროგრამის ერთ-ერთ უარყოფით მხარეს წარმოადგენ ის ფაქტი, რომ მისი დანერგვა ვერ ხდება ისეთ სოფლებში, სადაც ჯგუფის გახსნისათვის მოსწავლეთა აუცილებელი რაოდენობა(15 ბავშვი) არ არის.

სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელებაში მთელი რიგი ხარვეზებია. ერთ-ერთი მათგანია ის, რომ სახელმძღვანელოები არის მხოლოდ ქართულ ენაზე.

პროგრამის განხორციელების ხარვეზია კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. ამასთან, არ ხდება აღმზრდელების და მასწავლებლების გადამზადება. ყოველივე კი ხელს უშლის პროგრამის სრულყოფილად განხორციელებას და აფერხებს იმ სიკეთეების მიღწევას, რასაც ითვალისწინებს სასკოლო მზაობის პროგრამა.

ჩატარებული კვლევის კითხვარების და ინტერვიუების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასკოლო მზაობის პროგრამა თავისი საკანონმდებლო ბაზით და სახელმწიფოს მიერ ხელშეწყობით უტოლდება ბევრი განვითარებული ქვეყნის მოდელს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლში, კერძოდ კი მარნეულის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვან სკოლამდელ დაწესებულებასა თუ საჯარო სკოლებში ვერ ხორციელდება შესაბამისად. აღნიშნულის ძირითად მიზეზებად იკვეთება ამ რეგიონისთვის ჯერ კიდევ გამოწვევად არსებული ენობრივი ბარიერი. რადგან პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისთვის არსებული აქტივობათა კრებულები და დამხმარე სახელმძღვანელოები არის მხოლოდ სახელმწიფო ენაზე. დასაქმებულთა ნაწილმა არ იცის სახელმწიფო ენა და შესაბამისად, ვერ ახერხებს იხელმძღვანელოს აქტივობათა კრებულითა თუ დამხმარე სახელმძღვანელოებით. სასკოლო მზაობის პროგრამის მასწავლებლები იძულებულები არიან სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი დაგეგმონ ნებისმიერი მასალით, რაც მათ მოეპოვებათ.

ზემოთ აღნიშნული პრობლემებთან ერთად, გამოიკვეთა ის ფაქტიც, რომ არ ხდება მოსწავლეების სკოლისათვის მზაობის შეფასება და ყველა, განურჩელად მათი მომზადების დონისა, პროგრამის დასრულების შემდეგ ირიცხება სხვადასხვა საჯარო სკოლების პირველ კლასში. შედეგად იქმნება კლასები, სადაც არიან ბავშვები რომლებიც მზად არიან სკოლისათვის ან რომლებიც მზად არ არიან და ბავშვები, რომლებსაც საერთოდ არ გაუვლია ეს პროგრამა. გამომდინარე აქედან, მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ ბავშვების დაწყებითი კლასების (ამ შემთხვევაში (I და II კლასების) მასწავლებლებს.

გამოკითხული მასწავლებელები ერთხმად აღიარებენ, რომ იდეოლოგიურად ძალიან კარგია ეს პროგრამა. განსხვავებით სხვა წლებისგან ბავშვები სკოლაში მოდიან უფრო მომზადებულები, მათ არ უჭირთ კალმის ხელში დაჭერა, ჯგუფში მუშაობა, გამომუშავებული აქვთ ნებისყოფა და ნაკლებად უჭირთ საგაკვეთილო პროცესში ჩართვა. თუმცა, აქვე აღნიშნავენ, რომ სასკოლო მზაობის პროგრამის მასწავლებლების არაკვალიფიციურობა აისახება ბავშვებზე და ზემოთ აღნიშნულ სიკეთეებთან ერთად ისინი ფლობენ მათი ასაკისთვის შეუფერებელ უნარ-ჩვევებს. ისინი გამოთქვამენ პრეტენზიას იმის შესახებ, რომ პირველ კლასში მოსულ ბავშვებს კითხვის, წერისა და ანგარიშის უნარები გამომუშავებული კი არა აქვთ, უბრალოდ დაზეპირებული აქვთ. ამის მიზეზად ისინი მიიჩნევენ იმ სახელმძღვანელოების სახელმწიფო ენაზე არსებობას, რომლის დახმარებითაც სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში მასწავლებლებმა სწორად დაგეგმილი აქტივობებით უნდა გამოუმუშაონ ბავშვებს საჭირო უნარ-ჩვევები. ისინი მიიჩნევენ, რომ მასწავლებლები მიმართავენ ყველაზე მარტივ ფორმას და 5-6 წლის ბავშვებს ასწავლიან წერას, კითხვას და ანგარიშს. ამას კი, რესპოდენტები მიიჩნევენ მათ კომპეტენციაში შეჭრად. ასეთი მიდგომით სასკოლო მზაობის პროგრამის მასწავლებლები ბავშვებს ულახავენ უფლებებს. ნაცვლად იმისა, რომ მზაობის პროგრამაზე ბავშვები თამაშობდნენ და ამ თამაშში გამოიმუშავებდნენ საჭირო უნარ-ჩვევებს, მათ უწევთ სწავლა მსგავსად სკოლის პირველი კლასისა. კიდევ ერთი, რასაც ზემოთ აღნიშნული პრობლემა იწვევს არის სკოლაში მოსვლისას ბავშვების დემოტივაცია და მცდელობა სასწავლო პროცესის ჩაშლისა. უფრო კარგად რომ განვმარტოთ, სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილი იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც იციან წერა, კითხვა და ანგარიშიც კი აღარ არის საინტერესო საგაკვეთილო პროცესი. მასწავლებელებს უჭირთ ასეთი ბავშვების მართვა, ისინი ხელს უშლიან იმ მოსწავლეებს, რომლებსაც არ გაუვლიათ ან/და არასათანადოდ გაიარეს სასკოლო მზაობის პროგრამა.

რაც შეეხება მშობელთა კვლევას, აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი კმაყოფილია და მიაჩნია, რომ პროგრამამ გაამართლა მათი მოლოდინები. ამას ისინი ხსნიან იმით, რომ მათმა შვილებმა იციან წერა, თვლა, ანგარიში, ლექსები მათ მშობლიურ თუ ქართულ ენაზე. მათი პასუხებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

მშობლების უმეტესობას არ აქვს ინფორმაცია რას გულისხმობს სასკოლო მზაობის პროგრამა, რა ინფორმაციას და საჭირო უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს ბავშვი მისი გავლის შემდეგ.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბავშვის სკოლისათვის მზაობა მნიშვნელოვანი მექანიზმია სკოლაში სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის. დღესდღეობით არც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს და არც სკოლამდელ დაწესებულებებს არ აქვთ სკოლისათვის მზაობის შემოწმების რესურსი, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩასატარებელი. სკოლისათვის მზაობის შემოწმების შედეგად, ბავშვის შესახებ შექმნილი ისტორია დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს საშუალებას მისცემს საჭირო მიმართულებით იმუშაოს მასთან.

რეკომენდაციები

ჩემს მიერ სასკოლო მზაობის პროგრამის განხილვისა და კვლევების შედეგების გათვალისწინებით, მინდა ჩამოვაყალიბო ჩემი რეკომენდაციები, რაც მინდა მივცე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და უშულოდ ამ პროგრამის ხელმძღვანელებს.

იმისათვის, რომ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ერთ-ერთ რეგიონში, კერძოდ, მარნეულის მუნიციპალიტეტში, სასკოლო მზაობის პროგრამა განხორციელდეს სრულყოფილად და ჰქონდეს შესაბამისი დატვითვა, საჭიროა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები.

- ✓ აუცილებელია სამინისტრომ იზრუნოს სასკოლო მზაობის პროგრამის მასწავლებლების (აღმზრდელ-პედაგოგები) კვალიფიკაციაზე;
- ✓ აუცილებელია, სასკოლო მზაობის პროგრამის ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები შეირჩნენ სახელმწიფო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის შესაბამისად;
- ✓ აუცილებელია მოხდეს ბავშვების სკოლისათვის მზაობის შეფასება და მიეცეთ შესაბამისი დახასიათება, რომელიც გათვლისწინებული იქნება საჯარო სკოლაში მასწავლებლების მიერ;
- ✓ სასურველია სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფის შექმნა შესაძლებელი გახდეს არა ბავშვების საჭირო რაოდენობის მიხედვით, არამედ იმ საჭიროებებიდან გამომდინარე რაც ექნება სოფელს;
- ✓ სასურველია ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არაქართულენოვან მასწავლებლებს(აღმზრდელ-პედაგოგები) სასკოლო მზაობის პროგრამის სახელმძღანელოები გადაეცეთ მათ მშობლიურ ენაზე;
- ✓ სასურველია სასკოლო მზაობის პროგრამის მასწავლებლების დასაქმება მოხდეს სათანადო გადამზადებისა და ამ სფეროში პრაქტიკების გავლის შემდეგ;
- ✓ სასურველია სასკოლო მზაობის პროგრამას მასწავლებელთან ერთად ჰყავდეს ფსიქოლოგი.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ , 2017

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო http://mes.gov.ge/content.php?id=2384&lang=geo უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 23.06.2019

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სკოლამდელი განათლება, http://www.preschooleducation.ge/?lang=geo&link=1 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -23.06.2019

ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი, http://ncp.ge/ge/preschool-education/general-part/damkhmare-sakhelmdzghvaneloebi, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.06.2019

http://liberali.ge/articles/view/4039/ras-guliskhmobs-saskolo-mzaobis-programa, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 24.06.2019

დოღონაძე , ნ. , „განათლების მეცნიერება“, თბილისი , 2017 გვ.261

საიფერი და სხვები „სასკოლო მზაობის პროგრამა“, აღმზრდელის სახელმღვანელო, თბილისი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ , 2017 , გვ.4-5

ლაბარტყავა და სხვანი, 2011, გვ.6

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საჯარო ინფორმაცია, MES 91900563619, თბილისი,2019

ზაკაშვილი ლ., „რას გულისხმობს სასკოლო მზაობის პროგრამა“, 2015

სასკოლო მზაობის პროგრამა „ბასკო“ , 2014 გვ.92 http://www.preskola.ge/files/pdf/Basko2014.pdf?fbclid=IwAR3ACNYX1yauKY5E_fKqmlGM45Y5yE_FqYHuWSmHetJJ_ON4HtsAL4izocc -უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 25.06.2019

ადრეული აღზრდისა და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტი, 2017,გვ.96

დანართი N 1

კითხვარი სასკოლომზაობის პროგრამის მასწავლებლებისათვის

1. როგორ გესმით ტერმინი „სასკოლო მზაობა?“

“Məktəbəqədər hazırlıq” terminini necə başa düşürsünüz?

-

2. რომელი ტრენინგები გაქვთ გავლილი ამ მიმართულებით?

Bu istiqamətdə hansı təlimlərdən keçmisiniz?

-

3. რომელი სახელმძღვანელოებით სარგებლობთ და რამდენად აკმაყოფილებს იგი მოთხოვნებს, ხომ არ საჭიროებს შეცვლას ?

Hansı kitablardan istifadə edirsiniz və tələbinizi nə qədər qarşılayır?Dəyişdirilməsi vacibdirmi?

-

4. თქვენი აზრით, რას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება სასკოლო მზაობის პროგრამის სწავლებისას ?

Sizin fikrinizcə nəyə əsas diqqət yetirilməlidir gürcü,necə ki,ikinci dilin öyrənilməsində?

-

5. რას ფიქრობთ, სახელმძღვანელოში არსებული აქტივობები, ხომ არა არის არასაკმარისი ან/და რას შეცვლიდით მათში?

Necə düşünürsünüz,kitablarda verilmiş aktiliklər kifayət deilmi və ya onlarda nəyi dəyişmək istərdiniz?

-

6. ის აქტივობები, რაც სახელმძღვანელოშია მოცემული , როგორ გეხმარებათ 5-6 წლის არაქართულენოვან მოსწავლეებთან, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისას?

Kitablarda verilmiş aktivliklər sizə gürcü dilli olmayan 5-6 yaşlı şagirdlərə gürcü,necə ki,ikinci dilin öyrədilməsində necə kömək edir?

-

7. დაასახელეთ ერთი აქტივობა, რომელიც გეხმარებათ ეფექტურ სწავლებაში?

Bir aktivlik adı qeyd edin hansı ki,sizə öyrənilməsində kömək edir.

-

8. რამდენადაა საკმარისი არსებული რესურსები აქტივობების სრულყოფილად განსახორციელებლად?

Aktvliklərin həyata keçirilməsində olan resurslar nə qədər kifayətdir?

-

9. რას შეცვლიდით ამ პროგრამის სწავლებაში?

Bu proqramın(məktəbəqədər hazırlıq proqramı) öyrədilməsində nəyi dəyişərdiniz?

-- ----------

10. რა რეკომენდაციას მისცემდით სახელმძღვანელოების ავტორს/ავტორებს?
Hansı məsləhətləri verərdiniz kitabın müəllif/müəllifləerinə?

დანართი N 2

კითხვარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის

1. სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილი მოსწავლეები გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით.
   ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

Məktəbəqədər hazırlıq proqramını keçmiş şagirdlər daha yaxşı təhsil alırlar.

   a)bəli b)xeyir c)bir qismi

2. სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილი მოსწავლეები სრულიად არიან მზად სკოლისათვის.
   ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

Məktəbəqədər hazırlıq proqramını keçmiş şagirdlər məktəb üçün tamamilə hazırdırlar.
   a)bəli b)xeyir c)bir qismi

3. სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილი მოსწავლეებს არ უჭირთ წერა, თვლა და საუბარი.
   ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

Məktəbəqədər hazırlıq proqramını keçmış şagirdlər danışıqda,yazmaqda və saymaqda çətinlik çəkmirlər.
   a)bəli b)xeyir c)bir qismi

4. სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილი მოსწავლეები არიან უფრო მოტივირებულები, არ მიჭირს მათი ჩართვა საგაკვეთილო პროცესში.

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

Məktəbəqədər hazırlıq proqramını keçmiş şagirdlər daha motivasiyalıdırlar,onları dərs prosesinə qoşmaqda çətinlik çəkmirəm.

a)bəli b)xeyir c)bir qismi

5. სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილი მოსწავლეებს უადვილდებათ სასკოლო მასალის ათვისება

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

Məktəbəqədər hazırlıq proqramını keçmiş şagirdlər məktəb proqramını asanlıqla mənimsəyirlər.

a)bəli b)xeyir c)bir qismi

6. სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილი მოსწავლეებს უჭირთ კონცენტრაცია, სულ უნდათ თამაში

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

Məktəbəqədər hazırlıq proqramını keçmiş şagirdlər dərs prosesində diqqət cəmləşdirmə çətinliyi çəkirlər və davamlı olaraq oyun oynamaq istəyirlər.

a)bəli b)xeyir c)bir qismi

7. სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილი მოსწავლეები ფლობენ პირველი კლასის პროგრამას, რაც მათ უკარგავს მოტივაციას

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

Məktəbəqədər hazırlıq proqramını keçmiş şagirdlər I sinif proqramını bildikləri üçün,sinifdə motiasiyadan düşürlər.

a)bəli b)xeyir c)bir qismi

8. სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილი მოსწავლეები გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით მხოლოდ პირველ კლასში

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

Məktəbəqədər hazırlıq proqramını keçmiş şagirdlər yalnız I sinifdə mükəmməl oxuyurlar.

a)bəli b)xeyir c)bir qismi

9. სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილი მოსწავლეებმა იციან იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა პირველი კლასისთვის

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

Məktəbəqədər hazırlıq proqramını keçmiş şagirdlər I sinifdə lazım olunandan daha çox bilikli olurlar.

a)bəli b)xeyir c)bir qismi

10. გთხოთ, დაწეროთ სხა პრობლემები, რომლებიც იკვეთება ამ მიმართულებით:

Xaiş olunur bu istiqamətdə olan problemləri yazasınız.

დანართი N 3

კითხვარი მშობლებისთვის

1. როგორ ფიქრობთ, ბავშვის განვითარებისთვის საჭიროა თუ არა სასკოლო მზაობის პროგრამის გავლა?

   ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

   Necə düşünürsünüz,uşaqın inkişaf etməsi üçün məktəbəqədər hazırlıq proqramını keçməsi vacibdirmi ?

   a)bəli b)xeyir c)bir qismi

2. თქვენი აზრით, სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილი მოსწავლეები სრულიად არიან მზად სკოლისათვის?

   ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

   Sizin fikrinizcə,məktəbəqədər hazırlıq proqramını keçmiş şagirdlər məktəb üçün tamamilə hazırdırlarmı?

   a)bəli b)xeyir c)bir qismi

3. ეხმარება თუ არა სასკოლო მზაობის პროგრამის გავლა 5-6 წლის ბავშვებს კომუნიკაციის უნარების განვითარებაში?

   ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

   Məktəbəqədər hazırlıq proqramı 5-6 yaşlı uşaqlara ünsiyyət məntiqinin inkişaf etməsində kömək edir ya yox?

   a)bəli b)xeyir c)bir qismi

4. თქვენი აზრით, სასკოლო მზაობის პროგრამაში მონაწილეობა ეხმარება თუ არა მოსწავლეებს თავისუფალი რიტმიდან სასკოლო ცხოვრების რეჟიმზე გადასვლაში?

   ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

   Sizin fikrinizcə,məktəbəqədər hazırlıq proqramında iştirak etmək şagirdlərə azad rejimdən,məktəb həyatı rejiminə keçməkdə komək edir ya yox?

   a)bəli b)xeyir c)bir qismi

5. უწყობს თუ არა ხელს სასკოლო მზაობის პროგრამა ბავშვის ემოციურ განვითარებას?

   ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

   Məktəbəqədər hazırlıq proqramı uşaqın emosiyalarının inkişaf etməsinə kömək edirmi?

   a)bəli b)xeyir c)bir qismi

6. თქვენი აზრით სასკოლო მზაობის პროგრამა ეხმარება თუ არა ბავშვებს იმ უნარების განვითარებაში, რაც საჭიროა სკოლაში სხვა ბავშვებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობისთვის?

   ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

   Sizin fikrinizcə,məktəbəqədər hazırlıq proqramı uşaqlara məktəbdə başqa uşaqlar və müəllimlərlə əlaqədə olma məntiqinin inkişafında kömək edir ya yox?

   a)bəli b)xeyir c)bir qismi

7. გაამართლა თუ არა სასკოლო მზაობის პროგრამის გავლამ თქვენი მოლოდინები?

   ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

   Məktəbəqədər hazırlıq proqramı sizin gözləntilərinizi tamamladı ya yox?

   a)bəli b)xeyir c)bir qismi

8. ფლობენ თუ არა სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილი მოსწავლეები ყველა საჭირო უნარ-ჩვევებს?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

Məktəbəqədər hazırlıq proqramını keçmiş şagirdlər bütün vacib məntiqi-bacarıqları mənimsəyirlər yoxsa yox?

a)bəli b)xeyir c)bir qismi

9. აქვთ თუ არა სასკოლო მზაობის პროგრამა გავლილ ბავშვებს ქართული ენის საბაზისო ცოდნა ?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

Məktəbəqədər hazırlıq proqramını keçmiş uşaqların gürcü dilində lazımi bilikləri olur yoxsa yox?

a)bəli b)xeyir c)bir qismi

10. გთხოთ, დაწეროთ რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ ამ პროგრამაში, რა რეკომენდაციებს გასცემდით ამ მიმართულებით:

Xaiş olunur,bu proqramda nəyi xoşlayıb,nəyi xoşlamadığınızı və bu istiqamətdə hansı məsləhətləri vermək istədiyinizi qeyd edəsiniz.